www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 30 ნოემბერი, 2013 წელი. | №3419 (226) | ფასი 50 თეთრი

გიორგი მარგველაშვილი: „აღტაცებულები ვართ!"

ვილნიუსში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ტექნიკური პარაფირების პროცესი 28 ნოემბერს დასრულდა.

გუშინ კი ევროკავშირსა და საქართველოს შორის „სამოქალაქო მისიებსა და სამხედრო ოპერაციებში საქართველოს ჩართვის თაობაზე" ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერა „შალახოს", „სულიკოსა" და ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის მოტივების ფონზე გაიმართა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

პოლიციამ „ევრომაიდანი" ბლოკადაში მოაქცია

ივა შილაკაძე

უკრაინის ევროინტეგრაციის მხარდასაჭერად კიევის ცენტრში მიმდინარე აქციას გუშინ უკვე პოლიციამ შემოარტყა ალყა და შუაზეც გაყო. მათ ბლოკადაში მოაქციეს ავტომობილებიც ხმის გამაძლიერებელი აპარატურით, რომელიც აქციის ორგანიზატორებს საღამოს მიტინგისთვის სჭირდებოდათ. ოპოზიციის ლიდერები გამოთქვამენ ეჭვს, რომ ხელისუფლებას არ სურს, დამოუკიდებლობის მოედანზე ახალი ხალხის მისვლა დაუშვას და მიზნად აქვს იმათი გამოფიტვაც, რომლებიც უკვე აქციაზე იმყოფებიან.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

დარახველიძე ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა

ვილნიუსის სამიტის დასკვნით დღეს ქუთაისში პარლამენტარები სხდომათა დარბაზში დაგეგმილზე ადრე შეიკრიბნენ. დეპუტატებს დარბაზში დამონტაჟებულ მონიტორზე ვილნიუსში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირების საზეიმო ცერემონიალის პირდაპირი ტრანსლაციის ცქერის საშუალება ჰქონდათ. საპარლამენტო უმცირესობის წევრები სხდომათა დარბაზში მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც პლენარული სხდომა მუშაობას შეუდგა. **„ასოცირების შეთანხმების პარაფირება საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია,"** - თქვა სხდომის წამყვანმა, პარლამენტის ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისას იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ სანდრო ბარამიძემ მე-2 მოსმენით წარადგინა კანონპროექტი „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე." პროექტი ითვალისწინებს იურიდიული დახმარების სამსახურის გამოყოფას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროდან. კანონპროექტით სამსახურის ახალი სამართლებრივი სტატუსი დგინდება.

სამსახური მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

ვილნიუსის სამიტი დამთავრდა

უკრაინა კი ევროკავშირთან მოლაპარაკებებს ლამის თავიდან იწყებს

ივა შილაკაძე

პარასკევს ვილნიუსში ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტი დამთავრდა, რომელიც უკრაინის ხელისუფლების დასანანი უკანდახევის გამო მთლიანად გეგმის მიხედვით ვერ ჩატარდა. თუმცა დანარჩენი თვალსაზრისით კარგად ჩაიარა და მას ევროკავშირის ამ პროექტის მორიგი ეტაპის შესაფასებლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ძიუდოისტებმა ცუკუბას უნივერსიტეტში ექსტერნად „ჩააბარეს"

გიგა გურასაშვილი

ის იყო, უცხოეთში მყოფი სპორტსმენების ხელმრუდობის ფაქტები დავიწყებას მიეცა, რომ ახალი ამბავი შევიტყვეთ - თურმე პროფილი შეგვიცვლია და უკვე უდისციპლინობით ვიპყრობთ ყურადღებას. თანაც სად? - იაპონიაში, სადაც წესიერება აღმატებულ ხარისხშია და სადაც ვერაფრით ვერ გაიგებენ შენს ხმამაღალ საუბარს, თავნებობას. სამწუხაროდ, საქმე სწორედ ასეა. იაპონიაში, სადაც საქართველოს ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებები ორკვირიან შეკრებას გადიოდნენ, მათ, არც მეტი, არც ნაკლები, ქვეყანა დაატოვებინეს.

11 ნოემბერს ჭაბუკთა და ახალგაზრდული გუნდები ფედერაციამ იაპონიაში გაუშვა ორკვირიან შეკრებაზე. გეგმის მიხედვით, ორივე ასაკობრივ ნაკრებს ცუკუბას უნივერსიტეტში უნდა ევარჯიშა, მერე კი კოდოკანში იაპონელთა ახალგაზრდულ გუნდთან გაეგრძელებინა ვარჯიში. მაგრამ საქმე ცუკუბაშივე გაიფუჭეს.

ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, გია გუგავას განმარტებით, ცუკუბას უნივერსიტეტისა და მერე უკვე ქვეყნის დატოვების მიზეზი გახდა შინაგანაწესში გაურკვევლობა და მისი დარღვევა. შინაგანაწესი ითვალისწინებდა სიჩუმის დაცვას, ფეხშიშველ სიარულს... ამ პუნქტების დარღვევამ მასპინძელთა გაბრაზება გამოიწვია.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

დეკემბერი „ჰობიტის" თვეა

ტრილოგიის მესამე ფილმი ჩვენს გაქირავებაში 19 დეკემბერს გამოვა

აპატურაი: რუსეთი გაართულებს ადმინისტრაციულ საზღვართან მცხოვრებთა მდგომარეობას

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაი რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის ე.წ. საზღვრებზე მავთულხლართების გავლების გაგრძელებას ეხმაურება. როგორც აპატურაი თავის „ფეისბუქის“ გვერდზე წერს, ეს მნიშვნელოვნად გაართულებს ადმინისტრაციულ საზღვართან მცხოვრებ ადამიანთა მდგომარეობას.

აპატურაი ასევე აცხადებს, რომ ამით რუსეთი თავის საერთაშორისო ვალდებულებებს არღვევს და მოუწოდებს მას, შეწყვიტოს მსგავსი ქმედებები.

ISAF-ის მონაწილე ქართველი სამხედროების რაოდენობის შემცირება არ იგეგმება

2014 წლის ბოლომდე ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების რაოდენობის შემცირების საკითხი დღის წესრიგში ვერ დადგება. როგორც თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ ტელე-რადიო „პალიტრის“ ეთერში გადაცემა „ემას შოუში“ განაცხადა, 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ქართველი სამხედროები არასაბრძოლო მისიას განახორციელებენ.

„ISAF-ის მისიაში მონაწილე სამხედროთა რაოდენობის შემცირების საკითხი დღის წესრიგში ვერც დადგებოდა, რადგან საქართველოს აღებული აქვს ეს ვალდებულება და პირნათლად ასრულებს მას. სწორედ ეს არის, რისთვისაც აფასებენ ქართველ ჯარისკაცს და საქართველოს ჩვენი ნატოელი პარტნიორები. ნდობა, რომელიც ქართველი სამხედროების მიმართ არსებობს, ერთ-ერთი ფუნდამენტია, რის გამოც დღეს ევროკავშირთან შეთანხმების პარაფირება ხდება, რის გამოც აძლევს ასეთ მაღალ შეფასებას ნატო-ს გენერალური მდივანი თავდაცვის სისტემაში განხორციელებულ რეფორმებს. ჩვენ 2014 წლის ბოლომდე იმ გეგმით მივდივართ, რაც ნატოსთან შეთანხმებული იყო, მაგრამ შემდეგ, ბუნებრივია, ჩვენს კონტინგენტს შევამცირებთ და ახალი მისია, რომელიც ავღანეთში 2014 წლის შემდეგ დაიწყება იქნება, თვისობრივად სხვა შინაარსისაა და არა საბრძოლო. ნატო-მ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და 2015 წლისთვის საქართველო სწრაფი რეაგირების ძალების ნაწილი ხდება. პრაქტიკულად ჩვენი სამხედროები ნატო-ს წევრი ქვეყნის დონეზე არიან აყვანილნი და ახლა პოლიტიკოსებმა გადაწყვეტილებები უნდა დავაჩქაროთ, რათა ქვეყანა ნატო-ს წევრი გახდეს,“ - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

პატიმართა შეწყალების კომისიის ახალმა წევრებმა პირველი შეკრება გამართეს

პატიმართა შეწყალების კომისიამ, ახალი შემადგენლობით, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში პირველ შეხვედრა გამართა. როგორც ჟურნალისტებს შეწყალების კომისიის ახალმა თავმჯდომარე ალეკო ელისაშვილმა განუცხადა, კომისიაში შესულია 600 პატიმრის საქმე, მათ შორის არის ქალები და არასრულწოვნები. მისი ინფორმაციით, 150 საქმე კრიტერიუმებს აკმაყოფილებს. საქმეები ამ ეტაპზე ძველი დებულებითა და კრიტერიუმებით განიხილება, თუმცა ალეკო ელისაშვილის ინფორმაციით, მომდევნო შეწყალება ჩასწორებული დებულებითა და დაზუსტებული კრიტერიუმებით განხორციელდება.

ამასთან, კომისიის წევრის, სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის თქმით, კომისიისთვის მთავარი პრიორიტეტია, აბსოლუტურად ყველა საქმე იქნეს განხილული, სადაც კომისია პრეზიდენტის მხრიდან შეწყალების აქტის განხორციელების აუცილებლობას გადაწყვეტს.

„ძალიან ბევრი საქმეა დაგროვილი, არის საქმეები, რომლებიც წლების განმავლობაში იბლოკებოდა, ძალიან ბევრი უკანონო პატიმრის და უკანონო მსჯავრდებულის საქმე არ იყო განხილული. ვფიქრობ, რომ კომისიამ ამ საქმეების განხილვა უნდა დაიწყოს,“ - განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მომავალ კვირას კომისიის წევრები, სავარაუდოდ, კიდევ ორ სამუშაო შეხვედრას გამართავენ, რის შემდეგაც დეკემბრის შუა რიცხვებში ისინი პრეზიდენტს სხდომის დანიშვნის ფორმით მიმართავენ. პრეზიდენტი პატიმრებს, სავარაუდოდ, ახალ წლამდე შეიწყალებს.

რეინტეგრაცია იცვლება შერიგებად და სამოქალაქო თანასწორობად

გუშინ მთავრობამ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის ინიციატივა დაამტკიცა, რაც მხოლოდ 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ზაქარეიშვილი უწყებისთვის სახელწოდების შეცვლას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, დაახლოებით, ერთი წლის განმავლობაში სთხოვდა, თუმცა სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ისე ამოეწურა, რომ სახელმწიფო მინისტრის ინიციატივისთვის ხელი არ მოუწერია. ამჟამად ეს ფუნქცია პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას გადაეცა. მთავრობამ ზაქარეიშვილის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი უყოყმანოდ დაამტკიცა.

2014 წლის 1 იანვრიდან უწყება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის სახელწოდებით იფუნქციონირებს. ზაქარეიშვილის თქმით, ამით არგუმენტები მოეხსნება აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს, რომლებიც ტერმინ „რეინტეგრაციას“ აპროტესტებდნენ. **„ახალი სახელწოდებით არაფერი იცვლება, მაგრამ კიდევ ერთი არგუმენტი წავართვით, რათა ჩვენ მიმართ უფრო კონსტრუქციულები იყვნენ,“** - ამბობს ზაქარეიშვილი. მისი განმარტებით, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ორი მიმართულებით - კონფლიქტებისა და ინტეგრაციის საკითხებზე მუშაობს. როგორც მინისტრი აღნიშნავს, ახალი სახელწოდებიდან შერიგების ნაწილი აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობას ეხება, ხოლო სამოქალაქო თანასწორობა - ქვეყნის დანარჩენ ნაწილში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემების მოგვარებას.

მთავრობის სხდომაზე ასევე გუბერნატორის ინსტიტუტის შესახებ ახალი დებულება დაამტკიდეს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ დავით ნარმანიას თქმით, დებულება გუბერნატორების წარდგენის ახალ წესსაც ითვალისწინებს, გარდა ამისა, მასში მოცემულია სტრუქტურული ცვლილებები, რომელთა მიხედვით, გუბერნატორის აპარატს ადმინისტრაციის, თვითმმართველობებთან ურთიერთობების, ასევე რეგიონული პროექტებისა და პროგრამების კოორდინაციის სამსახურები დაექვემდებარება.

დავით ნარმანია აღნიშნავს, რომ საგანგებო სიტუაციების სამსახური, მართალია, დროებით გუბერნატორის დაქვემდებარებაში დარჩება, თუმცა მომავალში იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცემა. **„აღსანიშნავია, რომ დებულების დამტკიცებიდან 60 დღის განმავლობაში გუბერნატორის ადმინისტრაციებმა რეორგანიზაცია ამავე დებულების შესაბამისად უნდა განახორციელონ,“** - ამბობს ნარმანია.

რაც შეეხება გუბერნატორობის კანდიდატებს, მინისტრის ინფორმაციით, ამ საკითხზე მსჯელობა მომავალ კვირას დაიწყება. როგორც დებულებაშია მითითებული, მთვარობის კანცელარიის რეგიონებთან ურთიერთობის სამსახური კანდიდატურების შერჩევას შესაბამის სამინისტროებთან კონსულტაციებით დაიწყებს.

მთავრობის სხდომაზე ყველაზე დიდი დრო დღის წესრიგის პირველ საკითხს - 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს დაეთმო. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ამბობს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი 9 080 000 000 ლარი იქნება. როგორც ხადური განმარტავს, ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 5-პროცენტიან ზრდასა და 3,5 დეფლატორზეა გათვლილი. საერთო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 7 230 000 000 ლარის ოდენობით არის დაგეგმილი. ბიუჯეტის დეფიციტი კი 3,9 პროცენტია ნავარაუდევი.

ხადურის თქმით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება იზრდება.

„თუკი მეცნიერების სფეროსთვის 2012 წელს 18 000 000 ლარი იყო გამოყოფილი, ახლა ეს მაჩვენებელი 49 000 000 ლარს შეადგენს“, - აზუსტებს ნოდარ ხადური. პროექტი მთავრობამ მოიწონა და იგი პარლამენტს გაეგზავნება.

მთავრობის სხდომის შემდეგ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის საკითხზე ისაუბრა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

როგორც მინისტრი აღნიშნავს, არასწორია არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან იმის შესახებ საუბარი, რომ კომისიის შექმნის იდეა მთავრობის მიერ უარყოფილია. **„როგორ შეიძლება, ვინმემ უარყოს იდეა, რომ საქართველოში ბევრი უკანონო განაჩენი იყო გამოტანილი და ისინი გადასახედია. აღვნიშნე, რომ ეს საკითხი დროებით შეჩერებულია და ფინანსურ-ეკონომიკური ნაწილის დათვლა მიმდინარეობს, თუმცა მთავრობა მიიღებს გადაწყვეტილებას, რა ტემპით დაძრას საკითხი,“** - ამბობს მინისტრი.

იუსტიციის მინისტრის თქმით, კანონპროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროში მომზადდა, სამინისტროს საბჭოში სისხლის სამართლის საკითხებზე მომუშავე წევრებთან, ექსპერტებთან და არასამთვარობო ორგანიზაციებთან არაერთხელ განიხილეს. წულუკიანმა ასევე აღნიშნა, რომ პროექტის შესახებ ვენეციის კომისიამ დადებითი დასკვნა მოამზადა.

„დღეს კანონპროექტი მზად არის, მაგრამ მთავრობას შედეგებზე მსჯელობისთვის დრო სჭირდება,“ - ამბობს იუსტიციის მინისტრი.

წულუკიანი კომისიის ჩამოყალიბების შემაფერხებელი მიზეზების აღწერისას აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯილი პირი თუ გამართლდება, მას საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით ავტომატურად ეძლევა უფლება, რომ სამოქალაქო წესით სასამართლში სარჩელი შეიტანოს და ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.

წულუკიანი აზუსტებს, რომ ეს მხოლოდ ქონების ჩამორთმევის შემთხვევებს არ ეხება. **„ამ შედეგების დათვლაა საჭირო,“** - თქვა წულუკიანმა.

რაც შეეხება კომისიის უფლებამოსილების გავრცელების არეალს, როგორც წულუკიანი ამბობს, სამინისტრომ ვენეციის კომისიის რეკომენდაცია გაითვალისწინა და კანონპროექტიდან უკანონო განაჩენების გამოტანის ვადები ამოიღო. წულუკიანი აზუსტებს, რომ საბოლოო ვერსიაში აქცენტი, კონკრეტული თარიღების ნაცვლად, ხანდაზმულობაზეა გაკეთებული.

წულუკიანი ასევე განმარტავს, რომ კანონპროექტი კვაზი სასამართლო ორგანოს ჩამოყალიბებას არ ითვალისწინებს. მინისტრის თქმით, კომისია საქმეებს, უბრალოდ, გადახედავს, სავარაუდო ხარვეზების შესახებ დასკვნას მოამზადებს, რომელიც არა სასამართლოს, არამედ განმცხადებელს გადაეგზავნება. განმცხადებელს კი მიეცემა ვადა, რომლის ფარგლებშიც იგი, სურვილის შემთხვევაში, სასამართლოსთვის მიმართვას შეძლებს.

„ბოლო სიტყვა მხოლოდ სასამართლოს ეთქმის და იგი დაადგენს ხარვეზის არსებობა-არარსებობის საკითხს. თუ ხარვეზები იქნება, სასამართლო საქმის განხილვას თავიდან მიუბრუნდება,“ - აღნიშნავს წულუკიანი.

სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა კი დაადასტურა, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის მოთხოვნით საპატიმროებში 22 პატიმარი შიმშილობს. **„მათ პირადად ვეტყვით, რომ ტყუილად ღელავენ. ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა არავის გადაუფიქრებია. ეს შეიძლება, ფინანსურ საკითხს უკავშირდებოდეს, ამიტომ რაღაც დეტალები დასაზუსტებელია,“** - თქვა სუბარმა.

მინისტრის თქმით, შეიძლება, დამატებითი კომისიის შექმნა გახდეს საჭირო, რომელიც იმაზე იმსჯელებს, თუ რა შედეგებს გამოიწვევს საკანონმდებლო ცვლილებები.

საკუთარი ინფორმაცია

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეშფოთებას გამოთქვამს

ამის შესახებ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) განცხადებას ავრცელებს.

„ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან ღობეების აღმართვის პროცესი, რომელიც სექტემბრის ბოლოდან შეჩერებული იყო, კვლავ განახლდა. ეს ხდება გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსების ფონზე, რომელიც ადამიანებს გადაადგილებას უკრძალავს. მისიამ გააააქტიურა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ცხელი ხაზი და მოუწოდებს ყველა მხარეს, რომ გაცვალონ ინფორმაცია ბოლო მოვლენების შესახებ,“ - ნათქვამია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებაში.

ამასთან, მისია აღნიშნავს, რომ მონიტორებმა დირბი-ღოღეთის ტერიტორიაზე დააფიქსირეს წითელი რკინის ბოძების ინსტალაციის პროცესი 160 მეტრი სიგრძის მიწის ფართობის გასწვრივ, ხოლო 35 მეტრის გასწვრივ - მავთულხლართების მონტაჟის პროცესი. გარდა ღობეების აღმართვის განახლებისა, მისიამ ასევე დააფიქსირა გამაფრთხილებელი ნიშნების აღმართვის ინტენსიფიკაცია. ზოგიერთი მათგანი დამუშავებული მიწების შუაშია აღმართული.

„მოვუწოდებთ ყველა მხარეს, ზამთრის მოახლოების გამო გაითვალისწინონ ადამიანების საყოფაცხოვრებო რესურსებზე პოტენციური ზემოქმედების შედეგები. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია გააგრძელებს პატრულირებას და ცხელი ხაზის მეშვეობით მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობას პოტენციური დაძაბულობის შემცირებისა და თავიდან აცილების მიზნით,“ - განაცხადა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელმა ტოივო კლაარმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

გიორგი მარგველაშვილი: „აღტაცებულები ვართ!"

პირველი გვერდიდან

დოკუმენტს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ და საგარეო საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ქეთრინ ეშტონმა მოაწერეს ხელი.

შეთანხმება საქართველოს საშუალებას აძლევს, ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში ჩაერთოს და ამ გზით მსოფლიოში უსაფრთხოების ხელშეწყობის პროცესში, ევროკავშირთან ერთად, თავისი წვლილი შეიტანოს.

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. მან ევროკავშირსა და საქართველოს პროცესის დასრულება მიულოცა.

„მიგვაჩნია, რომ საქართველო, ევროკავშირთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანი მონაწილეა მსოფლიოში კრიზისის მართვის საკითხებში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ დიდი როლი შეასრულა საქართველოს სტაბილურობის საქმეში. ევროკავშირის მისიებსა და ოპერაციებში მონაწილეობა საქართველოს დამატებით ღირებულებას შესძენს," - მარგველაშვილმა.

ამასთან, პრეზიდენტის განმარტებით, ევროკავშირმა ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულების მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი მოიწონა.

„დეკლარაციის ტექსტში სავიზო ლიბერალიზაციის მიმართულებით საქართველომ ძალიან კარგი შედეგები დააფიქსირა. შესაბამისად ველით, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ევროკავშირთან ლიბერალური სავიზო რეჟიმი ექნება," - განაცხადა მარგველაშვილმა.

ვილნიუსის სამიტის დეკლარაცია, სახელწოდებით „აღმოსავლეთ პარტნიორობა: გზა წინსვლისკენ", „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნების მიერ მიღწეულ პროგრესს და სამომავლო გეგმებს მოიცავს. შემაჯამებელი დოკუმენტი 14-გვერდიანია და 58 პუნქტს აერთიანებს.

სამიტის ფინალურ დოკუმენტში აღნიშნულია საქართველოს მიერ ვიზის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მიღწეული „ძალიან კარგი" პროგრესი.

სამიტის მონაწილეები საქართველოსა და მოლდოვასთან ასოცირების დღის წესრიგის დასკვნით ეტაპზე გადასვლას რაც შეიძლება მოკლე დროში - 2014 წელს მოელიან.

დოკუმენტის 28-ე პუნქტში ნათქვამია, რომ სამიტის მონაწილეები მხარს უჭერენ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობას სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს კრიზისში.

„სამიტის მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულ იმპლემენტაციასა და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის არსებობის მნიშვნელობაზე. მონაწილეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ევროკავშირის მონიტორინგის მისიის სრულად განხორციელებას და კიდევ ერთხელ გამოხატავენ ჟენევის დისკუსიების მხარდაჭერას," - აღნიშნულია დეკლარაციაში.

სამიტის მონაწილეები ფინალურ დოკუმენტში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების მნიშვნელობაზეც საუბრობენ.

მონაწილეებმა 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაც დაამტკიცეს.

დეკლარაციით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შესრულება „აღმოსავლეთ პარტნიორობის" მომდევნო სამიტზე შეფასდება, რომელიც რიგაში 2015 წლის პირველ ნახევარში გაიმართება.

საქართველოს პრეზიდენტი „უაღრესად აქტიურ" ერთ წელს ელოდება. როგორც გიორგი მარგველაშვილმა ვილნიუსში, ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ განაცხადა, დღევანდელი დღე ისტორიულია და საქართველომ თავისი მომავლის განმსაზღვრელი ნაბიჯი გადადგა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, ძალიან გახარებულები ვართ, რადგან ეს არის ის, რისთვისაც ქართველების არაერთი თაობა იბრძოდა თავისი ცხოვრების სტილით, მოღვაწეობით. დღეს ჩვენ გადავდგით ისეთი ნაბიჯი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი, როგორც ევროპული ქვეყნების ოჯახის წევრის მომავალს. სამუშაო უაღრესად ბევრი იქნება და უაღრესად აქტიური ერთი წელი გვექნება, მაგრამ ეს არის ისტორიული დღე და საქართველოში ყველას ვულოცავ ამ ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯს," - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ასოცირების შეთანხმების პარაფირების საზეიმო ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ განაცხადა, რომ საქართველო ნამდვილად იმსახურებს სარგებელის მიღებას იქიდან, რასაც ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქვია.

მეორე მხრივ, ეს ამბიციური პროცესი, ჰერმან ვან რომპეის თქმით, გამოწვევა იქნება, რადგან ამგვარი ხელშეკრულების ხელმოწერას დიდი პასუხისმგებლობა ახლავს თან.

„ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, როდესაც საქართველოსა და მოლდოვას ეწყებათ ნამდვილი, რეალური ურთიერთობები ევროკავშირთან. ბატონო პრეზიდენტო, თქვენი პოლიტიკური ნება და განზრახვა უმნიშვნელოვანესია თქვენი ქვეყნისთვის. თქვენ განზრახული გაქვთ, ევროკავშირის სრულფასოვანი პარტნიორები გახდეთ. მინდა, კიდევ ერთხელ მივულოცო საქართველოსა და მოლდოვას ეს მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს მოლაპარაკებების პროცესი კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსა და მოლდოვას ისტორიულ კავშირებს ევროკავშირთან. ჩვენ საერთო ღირებულებები გვაქვს და იმედი მაქვს, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას მომავალშიც განვაგრძობთ. ევროკავშირის ქვეყნები და ინსტიტუციები თქვენი პარტნიორები არიან და მზად ვართ ახალი ვალდებულებისა და ახალი პასუხისმგებლობისთვის. მინდა, საქართველოს მივულოცო, რომ მან ნამდვილად კარგად ირეაგირა ევროკავშირის მიწვევაზე, გაეუმჯობესებინა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. ეს ყველა მხარისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა.

ეს ამბიციური პროცესი, მეორე მხრივ, გამოწვევა იქნება, რადგან ამგვარი ხელშეკრულების ხელმოწერას ნამდვილად ბევრი პასუხისმგებლობა მოსდევს," - განაცხადა რომპეიმ.

მისივე თქმით, ევროკავშირს იმედი აქვს, რომ ხელშეკრულების სრული განხორციელების მიზნით მომდევნო წლისთვის ძალიან ბევრი საქმე გაკეთდება.

„აღნიშნულმა ხელშეკრულებამ და ჩვენმა წინანდელმა თანამშრომლობამ ჩვენს ურთიერთობებს ძალიან მნიშვნელოვანი კვალი დაატყო. ევროკავშირი, საქართველო და მოლდოვა ერთმანეთს ნამდვილად დაუახლოვდებიან, რაც ქვეყნების აღმშენებლობას და აღმავლობას უზრუნველყოფს. ვფიქრობთ, რომ ეს გააძლიერებს ერთობლივ ურთიერთობებსა და ღირებულებებს, რომლებსაც ჩვენი თანამშრომლობა ეფუძნება. ასევე, მინდა, გავიხსენო ევროკავშირის პასუხისმგებლობა საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. იმ მოლაპარაკებებში, რომლებშიც ერთობლივად ვმონაწილეობდით, ევროკავშირმა საზღვრის მონიტორინგის მისიის მნიშვნელობით კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პატივისცემა საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. თქვენი პასუხისმგებლობა ძალიან დიდ როლს შეასრულებს თქვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის," - აღნიშნა რომპეიმ.

ამასთან, ვილნიუსში მიმდინარე „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ორმხრივ შეხვედრებს მართავს.

მარგველაშვილი ევროპარლამენტის პრეზიდენტ მარტინ შულცს შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრაზე საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივები განიხილეს.

საქართველოს პრეზიდენტმა მარტინ შულცს არაღიარების პოლიტიკისა და ევროპარლამენტის მიერ საქართველოსათვის სხვადასხვა სფეროებში გაწეული თანადგომისა და დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

შეხვედრაზე საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების მნიშვნელობა აღინიშნა. მარტინ შულცმა საქართველოს ხელისუფლების ევროპული არჩევანი დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ევროპარლამენტი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში საქართველოს მხარდაჭერას მომავალშიც განაგრძობს.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს სამიტის მნიშვნელობასა და ევროკავშირში საქართველოსა და მოლდოვას პერსპექტივებზე.

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტის ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მათი შეხვედრა ისევ შედგება.

ამასთან, მარგველაშვილი საფრანგეთის, პოლონეთის და ლატვიის პრეზიდენტებს და ესტონეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა.

პოლონეთის პრეზიდენტ ბრონისლავ კომოროვსკის განცხადებით, საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ევროინტეგრაციის მიმართულებით.

ლატვიის პრეზიდენტმა საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების მნიშვნელობა აღნიშნა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული აღმშენებლობის პროცესში საქართველოს მხარდაჭერა გამოხატა.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს თანამშრომლობის გაღრმავებაზე ბიზნესის, ვაჭრობის, თავდაცვისა და სხვა სფეროებში.

საუბრის დასასრულს საქართველოს პრეზიდენტმა ლატვიელი კოლეგა საქართველოში მოიწვია. საქართველოში ჩამოსვლას ესტონეთის პრემიერიც გეგმავს.

რაც შეეხება საფრანგეთის პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, მან ფრანსუა ოლანდთან სამომავლო თანამშრომლობასა და მომავალ, **„ერთწლიან ძალიან სერიოზულ სამუშაოზე"** ისაუბრა.

გარდა ამისა, გიორგი მარგველაშვილმა შეხვედრები გამართა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) პრეზიდენტ სუმა ჩაკრაბარტისთან და ევროპის ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტის (EESC) პრეზიდენტ ჰენრი მალოსესთან.

საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნული მოვლენით აღტაცებას გამოთქვამს.

„ჩვენი თანამემამულეების უმრავლესობა ამ ნაბიჯისთვის იბრძოდა მთელი თავისი ცხოვრება. ძალიან აღტაცებულები ვართ," - განაცხადა პრეზიდენტმა.

გიორგი ვაშაძე - საქართველოს წინ მნიშვნელოვანი ერთწლიანი პროცესი ელოდება

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება საქართველოს მთავრობის წევრებმა შეაფასეს.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა „საქართველოს ნათელი მომავლისთვის გადადგმული ნაბიჯი" სრულიად საქართველოს და თითოეულ მოქალაქეს მიულოცა.

„ეს ისტორიული მოვლენაა და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ ასეთი დიდი წარმატება და მომავლის იმედი ეროვნული უსაფრთხოების კუთხით, ალბათ, სულ თითზე ჩამოსათვლელი გვქონია.

ამიტომ ვულოცავ საზოგადოებას და თითოეულ იმ საჯარო მოხელეს, რომელმაც, როგორც წინა ხელისუფლების, ასევე ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში ძალისხმევა და დრო არ დაიშურა, რათა დღევანდელი დღე დამდგარიყო," - განაცხადა წულუკიანმა.

ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ კახა კალაძის შეფასებით, ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.

„ჩვენ გეგმაში გვაქვს, რომ საქართველო უახლოეს მომავალში გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა. თუმცა, ამ დრომდე გასატარებელია მნიშვნელოვანი რეფორმები. ჩვენ თანმიმდევრულად მივყვებით ყველაფერს." - განაცხადა კალაძემ.

მინისტრთა კაბინეტის გარდა, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება საქართველოს პარლამენტშიც შეაფასეს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ გუშინდელ დღეს ისტორიული უწოდა. კობახიძე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების ფაქტს გუშინ, პლენარულ სხდომაზე გამოეხმაურა და მოსახლეობას, ასევე ქართულ დელეგაციას და მთლიანად ქვეყანას მიულოცა.

მანანა კობახიძემ იმედი გამოთქვა, რომ მომავალი ერთი წელი წარმატებული იქნება და საბოლოოდ საქართველო ხელს მოაწერს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას.

„ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებას მომავალ წელს მოეწეროს ხელი," - დასძინა მანანა კობახიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების შეთანხმების პარაფირების შემდეგ, საქართველო უსაფრთხოებისა და პოლიტიკური სტაბილურობის თვალსაზრისით წინ წავიდა. პარლამენტარის თქმით, მომავალმა წელმა, რომელიც გადამწყვეტი, ექსცესების გარეშე უნდა ჩაიაროს.

„ერთი წელი თუ გონივრულად და წინდახედულად გავაგრძელებთ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის მართვისა და დემოკრატიული განვითარების მხრივ, როგორც ამას აქამდე ვაკეთებდით, ასეთ შემთხვევაში ევროპული ოჯახის კიდევ უფრო სრულუფლებიანი წევრი გავხდებით. ერთი წლის განმავლობაში მოგვიწევს დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის საყოველთაო უფლებების, ასევე კერძო საკუთრების დაცვა," - აღნიშნა ზვიად ძიძიგურმა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი ვაშაძის განცხადებით, საქართველოს წინ მნიშვნელოვანი ერთწლიანი პროცესი ელოდება.

ვილნიუსში მიმდინარე მოვლენების შესახებ გიორგი ვაშაძემ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

„გასული წლის ბოლოს უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ ამ დოკუმენტის პარაფირება მოხდებოდა. ვფიქრობ, ეს ძალიან სერიოზული მუშაობის შედეგია, რაც ყველა მხარემ უნდა დააფასოს. სამუშაოს ძირითადი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის დროს განხორციელდა, თუმცა დღევანდელ მთავრობას არ დავუკარგავ იმას, რომ მათი ცალსახა მიზანი იყო, ვილნიუსში დოკუმენტის პარაფირება მომხდარიყო. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ გვაქვს ერთწლიანი პროცესი, ძალიან სერიოზული გამოწვევა. ეს გამოცდა მთავრობასაც ჩასაბარებელი აქვს და თითოეულ ჩვენგანსაც, რომ საქართველო ასოცირებული წევრი გახდეს," - თქვა ვაშაძემ.

პარლამენტარი რუსეთის მხრიდან პროვოკაციებს არ გამორიცხავს და მიიჩნევს, რომ საოკუპაციო ხაზთან მიმდინარე მოვლენების მიმართ საქართველოს მთავრობამ უფრო პრინციპული პოზიცია უნდა გამოხატოს.

„ჩვენ საერთოდ არ ვართ დამოკიდებული არც რუსულ დენზე, არც გაზზე და საერთოდ ენერგომატარებლებზე. რაც შეეხება სხვა მექანიზმებს, ერთადერთი მექანიზმია, რომ შეიძლება, ბაზარი ისევ დაკეტოს, მაგრამ ეს ქართული ეკონომიკისთვის ტრაგედია ვეღარ იქნება.

რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან ნებისმიერ პროვოკაციას უნდა ველოდოთ, მე არ მომწონს დღევანდელი მთავრობის პოზიცია, შემგუებლური ტონი ზოგადად გვაზარალებს. ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლება გაცილებით უფრო პრინციპული უნდა იყოს და ამ პრინციპულ პოზიციაში მთელი ევროპა და ცივილიზებული სამყარო გვერდით უნდა დაიყენოს," - აღნიშნა ვაშაძემ.

სირიის ქიმიური იარაღი, შესაძლოა, საერთაშორისო წყლებში განადგურდეს

ამერიკის ხელისუფლება სირიის ქიმიური იარაღის საერთაშორისო წყლებში განადგურებას უკვე სერიოზულად განიხილავს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ცნობით, მსგავსი გეგმას მას შემდეგ შეიქმნა, რაც ქიმიური იარაღის ხმელეთზე განადგურების ვერსიამ სხვადასხვა პრობლემები გააჩინა, მათ შორის დიპლომატიურიც. ამ გეგმის არსებობის შესახებ პირველი საჯარო ინფორმაცია, დაახლოებით, ერთი კვირის წინ გავრცელდა და მის შესახებ, ასევე განადგურების შესაძლო მეთოდებზე, უკვე წერდა „24 საათი“.

თუ ამ იდეას ქიმიური იარაღის აკრძალავის ორგანიზაცია მოიწონებს, მაშინ ქიმიურ იარაღს ამჯერად ვირჯინიის შტატში მდებარე 213 მეტრიან ხომალდ Cape Ray-ზე გაანადგურებენ. მანამდე კი ხომალდი სპეციალური მოწყობილობებით აღიჭურვება. „ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, სირიის არმიას უკვე რამდენიმე კვირაში შეეძლება ქიმიური იარაღის ტრანსპორტირების დაწყება. ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციის გეგმის თანახმად, სირიიდან ქიმიური იარაღი 2014 წლის 5 თებერვლისთვის უკვე გატანილი უნდა იყოს, 2014 წლის შუა პერიოდისთვის კი განადგურდეს; გარდა იზოპროპანოლისა, რომელიც ზარინის გაზის დასამზადებლად გამოიყენება. მომწამვლელი ნივთიერების ყველაზე საშიში სახეობები სირიიდან 2013 წლის 31 დეკემბრისთვის უნდა გაიტანონ. იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც შეუძლიათ, სირიის ქიმიური იარაღი გასანადგურებლად მიიღონ, არიან: ალბანეთი, ბელგია და საფრანგეთი. თუმცა, ამ დრომდე თანხმობა არც ერთს არ განუცხადებია. სირიაში კი შეიარაღებული დაპირისპირება ჩვეულებრივად გრძელდება. გუშინ გაეროს უშიშროების საბჭომ დამასკოში მდებარე რუსეთის საელჩოზე ერთი დღის წინ მომხდარი თავდასხმა დაგმო. ამის შესახებ უშიშროების საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია საუბარი. „გაეროს უშიშროების საბჭო შეშფოთებულია 28 ნოემბერს რუსეთის საელჩოზე მიტანილი იერიშით, რომლის შედეგადაც ერთი ადამიანი დაიღუპა და ცხრა დაშავდა,“ - ნათქვამია განცხადებაში. ეს თავდასხმა ტერაქტად შეფასდა.

ხუთშაბათს რუსეთის საელჩოს წინ ჭურვი ჩამოვარდა. დაიღუპა ერთი სირიელი. დაშავდა ცხრა ადამიანი, მათ შორის საელჩოს დაცვის წარმომადგენელი. რუსეთის დიპლომატიური უწყების ცნობით, დაშავებულებს შორის რუსეთის მოქალაქეები არ არიან. თავდასხმა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკიმაც დაგმო. მისი თქმით, დამნაშავეების გამოვლენა და დასჯა აუცილებელია.

ნატო ავღანეთში საჰერო იერიშს გამოიძიებს

„როიტერის“ ცნობით, ავღანეთში მყოფმა ნატოს ძალებმა განაცხადეს, რომ გამოიძიებენ ხუთშაბათს ჰელმანდის პროვინციაში განხორციელებულ საჰერო იერიშს, რასაც ადგილობრივი ოფიციალური პირების თქმით, ერთი ბავშვი ემსხვერპლა. „ISAF ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საჰაერო იერიშების შედეგად ნებისმიერი სამოქალაქო მსხვერპლის გამო,“ - აღნიშნულია ნატოს ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის თქმით კი, ეს შემთხვევა მოწმობს, რომ ამერიკა ავღანეთის მოქალაქეებს სიცოცხლეს პატივს არ სცემს და თუ მსგავსი თავდასხმები გაგრძელდება, ავღანეთი ამერიკასთან ორმხრივ უსაფრთხოების ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერს. აღნიშნული შეთანხმება 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების დარჩენას განსაზღვრავს. ამერიკამ უკვე განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულების გარეშე 2014 წლის შემდეგ ქვეყნიდან ამერიკელ სამხედროებს მთლიანად გაიყვანს. ყარზაი კი ხელმოწერას არ ჩქარობს და ამერიკას პირობებს უყენებს.

ისრაელის პრეზიდენტი ირანს ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმას ურჩევს

ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა ირანს ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმა და შორი მოქმედების რაკეტებზე მუშაობის შეწყვეტა შესთავაზა. „ირანს მოვუწოდებ, რომ ტერორიზმი, ბირთვული პროგრამა და შორი მოქმედების რაკეტებზე მუშაობა შეწყვიტოს,“ - განაცხადა პრეზიდენტმა მეხიკოში გამოსვლისას. პრეზიდენტის თქმით, საერთაშორისო საზოგადოება ირანის მიერ ბირთვული იარაღის ფლობას არ შეურიგდება, ვინაიდან მას არავინ ემუქრება: „როდესაც ირანი სხვების მუქარას შეწყვეტს, მაშინ თავად გათავისუფლდება იმ საფრთხისაგან, რაც მას საპასუხოდ შეიძლება დაემუქროს,“ - აღნიშნა ისრაელის პრეზიდენტმა. პერესმა ასევე დაამატა, რომ ისრაელი თავის ყველა მეზობელს უნდის ხელს, თუმცა „ტირანიას მომავალი არ აქვს.“

ვენესუელის ნავთობკომ პანიამ „გაზპრომისგან“ მილიარდიანი კრედიტი მიიღო

ვენესუელის ნავთობის სახელმწიფო კომპანიამ Petroleos-მა რუსული კომპანია „გაზპრომისგან“ ერთი მილიარდი დოლარის კრედიტი მიიღო. ეს თანხა ვალების გადახდასა და სულიას შტატში ერთობლივი პროექტის განვითარების დაჩქარებას უნდა მოხმარდეს. ვენესუელის ნავთობკომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის კიდევ ერთ კრედიტს ესპანეთის ნავთობისა და გაზის კორპორაცია Repsol-ისაგან მიიღებენ. 2013 წლის დასაწყისში Petroleos-ის დავალიანება 40 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ვილნიუსის სამიტი დამთავრდა

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

უკრაინა მაინც სამიტის მთავარ თემად დარჩა და მასზე გაკეთდა აქცენტები როგორც ოფიციალურ დეკლარაციაში, ასევე პოლიტიკოსების გამოსვლებში. პარალელურად, გუშინწინ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სახელმწიფოებისა და ევროკავშირს ბიზნესფორუმიც გაიმართა, რომელიც ასევე ვერ ასცდა პოლიტიკურ განცახადებებს უკრაინის თემაზე (ამაზე გუშინდელ სტატიაში უკვე ვწერდით).

სამიტის ფარგლებში საქართველომ და მოლდავეთმა ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების პრაფირება მოახდინეს, ევროკავშირთან თანამშრომლობის შესახებ რიგ დოკუმენტებს აზერბაიჯანმაც მოაწერა ხელი. აშკარად პასიურობდნენ სომხეთი და ბელარუსი, რომლის წინააღმდეგაც ევროკავშირს სანქციები აქვს შემოღებული. საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებს ჩვენს გაზეთში სხვა სტატიები ეძღვნება, ჩვენ კი ისევ უკრაინის „მთავარ თემას“ დავუბრუნდებით.

უკვე მომზადებულ და ჯერ კიდევ სამი წლის წინათ პარაფირებულ ხელშეკრულებებზე ევროკავშირის და უკრაინის პირველ პირებს ხელი პარასკევს, დილით, უნდა მოეწერათ, თუმცა ორმხრივი შეხვედრების დროს ჯერ კიდევ ხუთშაბათს, საღამოს, ცხადი გახდა, რომ იანუკოვიჩი ვილნიუსში ამ მიზნით არ იყო ჩასული. მას 28-ში საღამოსაც და 29-ში დილასაც ჰქონდა შეხვედრები მასპინძელთან ლიტვის პრეზიდენტ დალია გრიბაუსკაიტესთან, ევროკავშირის და ევროკომისიის პრეზიდენტებთან ჰერმან ვან რომპეისთან და ჟოზე მანუელ ბაროზუსთან, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან და საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდთან.

ევროპელი ლიდერები უკრაინის ხელისუფლების დასანანი უკანდახევის გამო თავინთ იმედგაცრუებას საჯარო გამოსვლების დროსაც კი ვერ მალავდნენ და, მით უმეტეს, ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მკვეთრი და მკაცრი საუბრები ექნებოდათ დახურულ კარს მიღმა. თუმცა იანუკოვიჩის მიმართ გასაგები პიროვნული ანტიპათიის მიუხედავად, 47-მილიონიან უკრაინას ყველამ გაუწია ანგარიში და ოფიციალურად ისევ ითქვა, რომ ევროპა ოფიციალურ კიევთან თანამშრომლობისთვის გახსნილია და მომზადებული დოკუმენტები კვლავ მაგიდაზე დევს. მით უმეტეს, რომ სომხეთისგან განსხვავებით, უკრაინა ევროინტეგრაციაზე უარს საჯაროდ მაინც არ ამბობს და ირწმუნება, რომ რიგი პრობლემების მოგვარებისთანავე ამ ხელშეკრულებებს აუცილებლად მოაწერს ხელს. მოლაპარაკებები კი ევროკავშირთან აუცილებლად გაგრძელდება.

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი თავის ოფიციალურ გამოსვლაში შეეცადა, „ევროპაუზის“ მიზეზები აეხსნა. მან, უბრალო ენით რომ ვთქვათ, „ბევრი იწუწუნა“ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა და რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭებით მოსალოდნელი ზარალის გამო. იანუკოვიჩმა ხუთ პუნქტად ჩამოაყალიბა ის ნაბიჯები, რომელთა შესრულების შემთხვევაში უკრაინის ევროკავშირთან თანამშრომლობას წინ არაფერი დაუდგება: 1) ევროკავშირის მხრიდან საბიუჯეტო სექტორული დახმარების პროგრამების განბლოკვა და მაკროფინანსური დახმარების გამოყოფა; 2) საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან (მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი) თანამშრომლობის გაანახლება მისაღები პირობებით; 3) ევროკავშირის მხრიდან უკრაინის საექსპორტო საქონელზე ჯერ კიდევ წინა საუკუნეში შემოღებული შეზღუდვების გაუქმება; 4) ევროკავშირის და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარება უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის მოდერნიზაციასა და უკრაინის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევაში. უკრაინას ასევე იმედი აქვს, რომ ევროკავშირი გადახედავს თავის გადაწყვეტილებას გაზის სატრანზიტო ეკონომიკურად გაუმართლებელი სიმძლავრეების მშენებლობაზე უკრაინის გვერდის ავლით (იგულისხმება „სამხრეთ ნაკადის“ მშენებლობის გაუქმება); და 5) ყველა მხარესთან შეთანხმებული მოქმედების გეგმის შემუშავება იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც უკრაინას საბაჟო კავშირის ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვის შემცირების შედეგად შეექმნება. იანუკოვიჩმა თქვა, რომ ამ კუთხით მადლობელი იქნებოდა, თუ მიიღებდა ევროკავშირის თანადგომას სამმხრივი - უკრაინა-ევროკავშირი-რუსეთის თანამშრომლობის დასაწყებად. მან ისაუბრა ვილნიუსის სამიტის შემდეგ სხვა, უფრო წვრილმანი პრობლემების მოგვარების საჭიროებაზეც. მათ შორის დაასახელა სავიზო რეჟიმის გაუქმება და თავის მხრივ სრული თანამშრომლობის და ძალისხმევის პირობა დადო.

უკრაინას ამ მოთხოვნებზე ასევე პუნქტებად ჩამოყალიბებული და ასევე საჯაროდ პასუხი სამიტზე, ცხადია, არ მიუღია. იანუკოვიჩის მოთხოვნებიდან ზოგი ტექნიკური თანამშრომლობის სფეროს განეკუთვნება და აშკარად მოგვარებადია, მით უმეტეს, რომ ევროკავშირი გარკვეული ფინანსური დახმარების პირობას აქამდეც იძლეოდა და სამიტის დღეებში უკეთესად გამოჩნდა, რომ ეს დახმარება გაიზრდება. თუმცა ასობით მილიარდზე ლაპარაკი ზედმეტია, მით უმეტეს ამ ეტაპზე.

თანამშრომლობის გაგრძელების და გაღრმავების პირობას დებს ევროკავშირის და ამ გაერთიანების წამყვანი ყველა სახელმწიფოს პირველი პირი. მათ შორის იგივე მერკელი და ოლანდი, რომელმაც განაცხადა, რომ უკრაინის პოზიციას „გაგებით ეკიდება“. სხვები უფრო რადიკალურები იყვნენ. მაგალითად, იტალიის პრემიერმა ენრიკო ლეტამ უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ისტორიული შეცდომა უწოდა, ხოლო პოლონეთის პრეზიდენტმა ბრონისლავ კომოროვსკიმ კიევში დეკემბრის დასაწყისში დაგეგმილი ვიზიტი გააუქმა.

უკრაინამ კატეგორიული უარი მხოლოდ სამმხრივ, რუსეთის მონაწილეობით მოლაპარაკებებზე მიიღო. რომპეიმ უკრაინას მოუწოდა, უცხოეთიდან ზეწოლა გადალახოს, სიმამაცე გამოიჩინოს და გადაწყვეტილება მიიღოს. ბაროზუმ კი განაცხადა, რომ ევროპაში „შეზღუდული სუვერენიტეტის“ ერა დამთავრდა, ევროკავშირმა უკვე შეათანხმა ხელშეკრულება დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან - უკრაინასთან და აქ სამმხრივი ფორმატი დაუშვებელია. უფრო რადიკალური იყო პოლონეთის ექს-პრეზიდენტი და ევროპარლამენტის მონიტორინგის მისიის თანათავმჯდომარე ალექსანდრ კვასნევსკი „ბი-ბი-სისთან“ ინტერვიუში: „ფორმალურად [სამმხრივი ფორმატი] შეუძლებელია. თუ ევროკავშირი ელაპარაკება რომელიმე სახელმწიფოს, ეს ორხრივი დიალოგია და არ არის მიღებული, რომ მასში მონაწილეობდეს მეზობელი, კარგი მეგობარი, სიდედრი ან ვინმე ადვოკატი. ეს მიუღებელია.“

ევროპელმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ რუსეთს ცალკე დაელაპარაკებიან და შეეცდებიან, გაარკვიონ, თუ რას უპირებს უკრაინას.

პოლიციამ „ევრომაიდანი“ ბლოკადაში მოაქცია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კიევის ცენტრში, სხვადასხვა ადგილებზე შეკრებილები არიან ახალგაზრდების 20-30-კაციანი ჯგუფები, ყოველგვარი პარტიული სიმბოლიკის გარეშე, მათ არც უკრაინის და ევროკავშირის დროშები აქვთ. შესაბამისად, მათი მიზნებიც გაუგებარია. ევროინტეგრაციის მომხრე აქციების მონაწილეთა აზრით, ისინი პროვოკატორები არიან, რომლებსაც ხელისუფლება თავისი მიზნებისთვის იყენებს. ოპოზიციონერებმა სცადეს კიდეც, დამოუკიდებლობის მოედნის მიმდებარე სკვერებში შეკრებილი ახალგაზრდების ვინაობა და მიზნები მილიციასთან დაედგინათ, თუმცა პასუხად მიღეს, რომ ამის გარკვევა პოლიციის ფუნქციებში არ შედის. დღის პირველ ნახევარში ეს გაუგებარი ჯგუფი საზოგადოებრივი ტელევიზიის გადამღებ ჯგუფს დაესხა თავს, ჟურნალისტებს სცემეს, ტელეკამერა დაუმტვრიეს და კამერის „ფლეშკაც“ გაიტაცეს. ცემას ვერც მილიციელები გადაურჩნენ. ეს ინციდენტი ამერიკის ელჩმა უკრაინაში ჯეფრი პაიეტმა ოპერატიულად დაგმო. მან „ტვიტერში“ დაწერა, რომ „ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს სიტყვის, პრესის და შეკრების თავისუფლებას, ვგმობთ დღევანდელ თავდასხმას ჟურნალისტებზე.“

დამოუკიდებლობის მოედანთან დღისით მოქალაქეთა ამ გაუგებარ ჯგუფებსა და მიტინგის მონაწილეებს შორის ჩხუბი დაიწყო. პოლიციის სპეცრაზმი „ბერკუტი“ ჯერ ამ ჩხუბის აღკვეთას შეეცადა, შემდეგ მოულოდნელად მოედანზე სპეცრაზმელების და პოლიციელების რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. „ბერკუტის“ რამდენიმე ასეული მებრძოლი სრული აღჭურვილობით გამოჩნდა. საღამოს იქ ოპოზიციის ლიდერების მონაწილეობით დიდი მიტინგი იყო დაგეგმილი, ამ მიტინგზე შემდგომი მოქმედების გეგმა უნდა გადაწყვეტილიყო - უკვე იქიდან გამომდინარე, რომ ვილნიუსის სამიტზე იანუკოვიჩმა ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებებს ხელი არ მოაწერა. არ არის გამორიცხული, რომ აქცია თავისით დაიშალოს და პროტესტი სხვა ფორმით გაგრძელდეს, ამაზე სტუდენტური აქციის ორგანიზატორები ჯერ კიდევ ხუთშაბათს საუბრობდნენ. თუმცა მოედანზე პოლიციის დამატებითი ძალები დაგეგმილ მიტინგამდე რამდენიმე საათით ადრე გამოჩნდნენ.

დამოუკიდებლობის მოედნის მისადგომებთან საგზაო პოლიციის ორმა მანქანამ იმ მიკროავტობუსებს ჩაუკეტა გზა, რომლებშიც ხმის გამაძლიერებელი აპარატურა იყო მოთავსებული. შემდეგ ეს მანქანები ალყაში მოაქცია „ბერკუტმა“. ოპოზიციონერი დეპუტატები ავტობუსების სახურავზე ავიდნენ და პოლიციას განუცხადეს, რომ ამ ავტომანქანებში უკანონო არაფერია და ის სანქცირებული მიტინგის ჩასატარებლად სჭირდებათ. იქვე ვიღაცებმა კვამლმდენი ყუმბარები გაუშვეს. დემოსტრანტების უმრავლესობამ იყვირა, რომ ეს პროვოკატორების ნახელავია. ამ ყველაფერს დემოსტრანტებსა და პოლიციელებს შორის გაწევ-გამოწევა მოჰყვა. „ბერკუტის“ მებრძოლებმა ბრძანების მიღებისთანავე აირწინაღები გაიკეთეს და დემონსტრანტების შევიწროება დაიწყეს. მათ დამოუკიდებლობის მოედანს ყველა მხრიდან შემოარტყეს ალყა, ამას გარდა, ხალხის მასა ორ ნაწილად გაყვეს და ტროტუარებისა და მოედნის არასავალი ნაწილისკენ „მიწიეს“. პოლიციამ მომიტინგეებს ხრეშჩატიკის გადაკეტვის საშუალებაც აღარ მისცა. ცენტრალური ქუჩის მეორე მხარეს მყოფ დემონსტრანტებს არც ის შეეძლოთ, ხრეშჩატიკი გადაეჭრათ და ძირითად ჯგუფს შეერთებოდნენ. საღამოს დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის პერიოდულად მცირეოდენ შეტაკებებსაც ჰქონდა ადგილი.

მიუხედავად ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა, კერძოდ გენერალურმა პროკურორმა ვიქტორ პშონკამ განაცხადა, რომ ევროინტეგრაციის მომხრეთა აქციის ძალით დაშლას არავინ აპირებს, თუ მომიტინგეები კანონის ფარგლებში იმოქმედებენ. მან, უბრალოდ, დასძინა, რომ მიტინგზე ადგილი აქვს პროვოკაციებს, იქ ზოგიერთი ცრემლსადენი გაზით, ხელკეტებით, ქვებით და იარაღითაც კი დადის. ასეთ შემთხვევაში კი სამართალდამცავები ადეკავატურ ზომებს მიიღებენ.

გუშინ, როგორც ჩანს, ჩაიშალა კიევიდან პოლონეთის სასაზღვრო ქალაქამდე დაგეგმილი ცოცხალი ჯაჭვი, რისი მზადების შესახებაც ჩვენ წინა სტატიაში ვწერდით. ამ აქციის ჩატარების შესახებ პარასკევს ინფორმაცია აღარ გავრცელებულა.

დეკემბერი „ჰობიტის“ თვეა

ია ვეკუა

ორშაბათს თბილისის საერთაშორისო კინოფეტივალი იხსნება, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში კინოთეატრ „ამირანის“ სრულ და „რუსთაველის“ ნაწილობრივ „ოკუპაციას“ მოახდენს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დეკემბრის აფიშა არ არსებობს - არსებობს, თანაც წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ბლოკბასტერით. მას „ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი“ (The Hobbit: The Desolation of Smaug) ჰქვია და სწორედ ის ფილმი გახლავთ, რომელიც საკმაოდ მეჩხერ დეკემბრის აფიშას შეავსებს.

დეკემბრის პირველი ფილმი კი „უკანასკნელი ვეგასია“, რომლის ორიგინალური სახელწოდებაც გაცილებით ორიგინალურად ჟღერს - Last Vegas. ფილმი, პირველ რიგში, სამსახიობო ანამბლით იქცევს ყურადღებას, შემდეგ კი სიუჟეტით, ლას ვეგასის ბრწყინვალებითა და სილიკონის გროვებით. ფილმს ოთხი მთვარი გმირი ჰყავს და მათი შემსრულებელი ოთხივე მსახიობი „ოსკარის მფლობელია“: რობერტ დე ნირო („ნათლია 2“ და „ცოფიანი ხარი“), მორგან ფრიმენი („მილიონ დოლარიანი გოგონა“), მაიკლ დუგლასი („უოლ სტრიტი“) და კევინ კლაინი („თევზი სახელად ვანდა“). საინტერესოა, რომ ერთ-ერთი მათგანის ადგილას კრიტოფერ უოკენს უნდა ეთამაშა, მაგრამ მსახიობმა სხვა პროექტში დაკავებულობის გამო „უკანასკნელ ვეგასზე“ უარი თქვა. ის პროექტი კი ფილმი „ნამდვილი ბიჭებია“ (ორიგინალში Stand up guys), რომელიც „უკანასკნელი ვეგასის“ მსგავსად კომედიაა და უოკენის გარდა ალ პაჩინო და ალან არკინი (სამივე მსახიობი ასევე ოსკაროსანია) თამაშობენ.

„უკანასკნელი ვეგასის“ გმირები ბავშვობის მეგობრები არიან, თუმცა მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტია გასული, ამიტომ ერთი გულითაა ავად, მეორეს სახსრები აწუხებს, მესამეს რაღაც უარესი, მეოთხე კი ცოლს ირთავს, ძველ მეგობრებს კი ლას ვეგასში დროის გასატარებლად კრებს. „ბიჭები“ მართლაც ჩადიან მუდამ განათებულ ქალაქში, სადაც, როგორც ფილმის ანოტაციაშია ნათქვამი, უამრავი სასაცილო თავგადასავალი გადახდებათ. მართლაც ასეა, თუ არა, ამას მაყურებელი 5 დეკემბრიდან ნახავს.

19 დეკემბერს ანუ სწორედ იმ დღეს, როდესაც „ჰობიტის“ პრემიერა გაიმართება, ჩვენს გაქირავებაში „დისნის“ ანიმაციური ფილმი „გაყინული“ გამოვა. ჰანს ქრისტიან ანდერსენის „ყინულის დედოფლის“ მოტივებზე შექმნილი ანიმაციური ფილმი „დისნის“ 53-ე სრულმეტრაჟიანი ნამუშევარია და ამ სტუდიისთვის დამახასიათებელი იუმორით, მუსიკალური ნომრებითა თავბრუდამხვევი სანახაობითაა სავსე.

12 დეკემბერს გაქირავებაში ქართული პროდუქტიც გამოდის - „კომედი კლაბის“ მიერ გადაღებული „მისტერ ძიძა“. ფილმის პოსტერიდან და სახელწოდებიდან თუ ვიმსჯელებთ, ეს არის რაღაც შუალედური „მისის დაუბთფაიერს“, ძიძებზე გადაღებულ ყველა ფილმსა და საცივს შორის, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს. დაე, მაყურებელმა თავად დაარქვას სახელი ყველაფერს... იგივეს ვიტყოდით „ჩემი ცოლის დაქალების“ მიხედვით გადაღებულ მორიგ სრულმეტრაჟიან ფილმზეც, რომელიც 26 დეკემბერს გამოდის.

როგორც გითხარით, დეკემბრის გადარჩენა მხოლოდ და მხოლოდ „ჰობიტს“ შეუძლია, ფილმს, რომელსაც ჩვეულებრივი მაყურებელი მხოლოდ ერთი წელია („ჰობიტი: მოულოდნელი მოგზაურობის“ გამოსვლის შემდეგ) ელის, ტოლკინის ფანები კი ათწლეულების განმავლობაში. ასეთ მოლოდინს ტრილოგიის პირველი ფილმის ხარისხიც განაპირობებს და ისიც, რომ ამჯერად მაყურებელი ფრენჩაიზის ერთ-ერთ მთავარ ვილანს, ერებორის დამპყრობელსა და ჯუჯების დაუძინებელ მტერ დრაკონ სმაუგს შეხვდება.

„სმაუგის ნაოხარში“ ბილბო ბეგინსის თავგადასავალი გრძელდება. ის კვლავაც ჯუჯებთან და გენდალფთან ერთად მიემართება მარტოსული მთისკენ, სადაც სმაუგის მიერ მიტაცებული საგანძურია დაუნჯებული. ამ მოგზაურობაში ბილბო და თორინი სულ უფრო მეტ მეგობარს იძენენ (ცხადია, მტრების რაოდენობაც იზრდება). მაგალითად, შემოდის ლეგოლასის პერსონაჟი, რომელსაც მაყურებელი „ბეჭდების მბრძანებლის“ ტრილოგიიდან იცნობს (მას კვლავაც ორლანდო ბლუმი თამაშობს).

ცხადია, მათავარი ფოკუსი მაინც ბენედიქტ ქამბერბაჩის მიერ გახმოვანებული სმაუგისკენ იქნება მიმართული, რომელიც, სამწუხაროდ, ფილმის ტრაილერშიც ჩანს, არადა უკეთესი იქნებოდა, მისი მხოლოდ ხმა მოგვესმინა - ფილმის ყურებისას გამოჩენა გაცილებით ეფექტური იქნებოდა. ასევე შევხვდებით ქამბერბაჩის მიერ გახმოვანებულ მეორე პერსონაჟსაც - ნეკრომანტს, რომელიც პირველ ფილმში მხოლოდ წამიერად გამოჩნდა, მეორე და მესამე ნაწილში კი გაცილებით დიდ ეკრანულ დროს დაუთმობენ.

ალბათ ზედმეტია იმის შეხსენება, რომ ტრილოგიის მეორე ფილმის ავტორიც პიტერ ჯეკსონია და მესამეც მისი გადაღებულია. ტრილოგიის ბოლო ფილმი „ჰობიტი: იქით და უკან“ მომავალი წლის დეკემბერში გამოვა და იმედია, ჯეკსონი ამის მერე მაინც მოიცლის ტენტენის მორიგი თავგადასავლის გადასაღებად.

მალკოლმ დ. მაკდუგალ III - ის პარალელური სამყაროები

ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ

23 წლის ნიუ იორკელ ხელოვანს მალკოლმ დ. მაკდუგალ III -ს ვუნდერკინდ სკულპტორსაც უწოდებენ. იგი ნიუ ორკის ქალაქის უნივერსიტეტის ხელოვნებისა და დიზაინის კოლეჯის კურსდამთავრებულია (სკულპტურის ფაკულტეტი) და ამ აკადემიური ცოდნით, ალბათ, ბევრი ელოდა, რომ იგი მონუმენტურ ფიგურებს თუ არა, რაიმე კლასიკურ სტილთან ოდნავ ახლოსმდგომის შექმნას მაინც მოჰკიდებდა ხელს. სკულპტურების შექმნა დაიწყო თუმცა... ისინი გადიდებული ბაქტერიები და უჯრედოვანი თრომბოციტები აღმოჩდნენ. სწორედ ამ „ცოცხალი ორანიზმებისგან“ შექმნილი მეტაფორებია მაკდუგალის რკინის აბსტრაქციები. თავად ხელოვანი ამბობს, რომ ფორმები და ზედაპირები, უფრო სწორედ, ზედაპირის სიგლუვე მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც თავის ნამუშევრებში იგი ცდილობს დედამიწის ტექტონური ფილების თუ ეროზიული პროცესების კონგრუენტული „პეიზაჟებისა“ და „ტალღოვანების“ შექმნას. აი, მაგალითად ნიუ იორკში, მე-14 ქუჩაზე, უინიონ სკვერში განლაგებული მისი სკულპტურა „მიკროსკოპული პეიზაჟი“ ანდა „ფესურა“ და „სიმართლისა და ილუზიის პარალელური სამყაროები“, რომელიც გალერეა „287 Spring“-ში გამოიფინა. ეს უკანასკნელი ორფეროვანი კონსტრუქტი - აბსტრაქციაა: ვერცლისფერი დაღარული ილუზია და მასზე „აღმართული“ მოყავისფრო ასიმეტრიული „მართკუთხედები“; მიკროსკოპული პეიზაჟი კი რკინის ყავისფერი კოლოფებისგან შექმნილი აბსტრაქტული კონფიგურაცია, რომელიც, ჩემი აზრით, გიგანტურ მრავალფეხება კიბორჩახალას ჰგავს და ისე დგას, თითქოს ჰა-ჰა აიდგამს ფეხს და ამოძარვდება.



მალკოლმ მაკდუგალისთვის მსუბუქი ფოთოლი შეიძლება ტრანსფორმირდეს ერთმანეთზე შედუღაბებულ რკინის ფილებად, ხოლო სიცოცხლის სხვადასხვაგვარი ბიოლოგიური ფორმები - ერთმანეთზე „დაწებებულ“ ლითონის ნაჭრებად, რომელიც, ბუნებრივია, ვერ იქნება გლუვი. მისი კონსტუქციები „ყალბი პეიზაჟია“, მაგრამ მოედანზე. მწვანე მდელოზე თუ მდინარესთან განლაგენული, მგონი, კონტექსტში მიუჩვეველი თვალისთვისაც ჰარმონიულად „ჯდება“. მისი „სტრომატოლიტები“ ვერცხლისფერი მთა-გორაკებია, რომლის ადგილი მხოლოდ გარე სივრცეშია. მალკოლმი ჭრის ლითონის ერთ მთლიან „ზეწარს“, ანაწევრებს და მერე ქმნის „პეჩვორკს“, როგორც მთლიანს-დიდ ნაჭრებს პატარა ნაჭრებად ამრავლებს და მერე შედუღაბების პროცესში ფიქრობს თუ როგორ მიუსადაგოს ახალი ფილა წინა ნაჭრებს... და, ისევ, ჩემი აზრით, მისი „სტრომატოლიტები“ გიგანტურ ცხოველებს ჰგვანან, რომლებიც უძრავად გაშეშებულან და რომელა ბაკანზე მზე ვერცხსლისფრად ირეკლება.

სკულპტურა სახელწოდებით „ინსტალაციის შესწავალა“ ასევე ნაფლეთებისგან შექმნილი მუქი მოშავო-მოლურჯო - მოვერცხლისფერო შარფია, რომელსაც, ერთი შეხედვით, არც ისე დიდი წონა აქვს და ადვილად შეგიძლია ყელზე შემოიხვიო. „ჩემი სკულტიურები როგორც მუსიკა, როგორც სიმფონიაა, რომელსაც ადამიანები თავისებურად ინტერპრეტირებენ. მე მომწონს, როცა ისინი მათ ძალიან განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მე მიყვარს მიკროსკოპიც, რადგანაც მისი საშუალებით შეიძლება ის დაათვალიერო, რაც შეუიარაღებელი თვალისთვის მიუწვდომელია“ - ამბობს მალკოლმ მაკდუგალი.

აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხის განხილვა გადაიდო

თბილისის საკრებულომ აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხის განხილვა 27 დეკემბრისთვის გადაიდო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „თავისუფალი საქართველოდან“ აცნობეს, თბილისის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხი, თუმცა ეს ინიციატივა, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, 27 დეკემბრის სხდომისთვის გადაიდო.

აღნიშნული წინადადების ინიციატორია პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა. აღნიშნული ინიციატივა საკრებულოში პირველად 2 წლის წინათ გაჟღერდა, თუმცა მაშინდელი ხელმძღვანელობის პირობებში განხორციელება არ მოხერხდა.

გიგა გიორგაძე: ციხეებში 22 ადამიანი შიმშილობს

სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე გიგა გიორგაძის განცხადებით, ციხეებში მასობრივი შიმშილობა არ დაწყებულა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიგა გიორგაძემ ნანა კაკაბაძის მიერ გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ განუცხადა, სამინისტროს ხელთ არსებული ინფორმაციით, მოშიმშილეთა რაოდენობა იმდენია, რამდენიც სხვა დროსაც დაფიქსირებულა.

„დღევანდელი მონაცემებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 22 ადამიანი შიმშილობს, მათ შორის 15 - უკანონო განაჩენის გადახედვის მოთხოვნით. სიტუაცია კონტროლდება. შიმშილობას თავის წესი აქვს. თითოეული მოშიმშილე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება,“ - განაცხადა გიგა გიორგაძემ.

ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მასობრივი შიმშილობა გამოიწვია იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებამ, რომლის მიხედვითაც, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია აღარ შეიქმნება.

ნანა კაკაბაძის განცხადებით, პატიმრები რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს მოითხოვენ, რადგან მიიჩნევენ, რომ მოქმედმა პარლამენტმა სამართლიანობის აღდგენა და დაპირების შესრულება ვერ შეძლო.

დარახველიძე ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა

პირველი გვერდიდან

ამასთან, სამსახურზე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არ გავრცელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს გულისხმობს.

სამსახურის დირექტორი ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მარტისა, საქართველოს პარლამენტს სამსახურის წინა წლის საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს. თუ საქართველოს პარლამენტი ანგარიშის მოსმენის შემდეგ ან სხვა წარმოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მივა იმ დასკვნამდე, რომ დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცალკეული საფუძვლები არსებობს, მას დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების უფლება გააჩნია.

სამსახურის მართვის ბერკეტები სპეციალურად შექმნილ კოლეგიურ ორგანოს - იურიდიული დახმარების საბჭოს გადაეცემა, რომელიც ხელისუფლების სხვადასხვა შტოების, ასევე სახალხო დამცველის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, თავად იურიდიული დახმარების სამსახურისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება. 9 წევრისგან შემდგარ საბჭოს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვს და სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს გასაზღვრავს.

სანდრო ბარამიძემ ასევე მე-2 მოსმენით განსახილველად წარადგინა კანონპროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.“ ცვლილებების მიზანია მთელი რიგი კანონების „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

პლენარული სხდომის გარდა, პარლამენტში კანონპროექტები საკომიტეტო ფორმატშიც განიხილეს. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა დევნილთა შესახებ მომზადებული კანონპროექტი წარადგინა. მინისტრი ქუთაისში მას შემდეგ გაემგზავრა, რაც დარწმუნდა, რომ ფინანსთა სამინისტრომ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში დევნილთა შემწეობის ზრდის საკითხი გაითვალისწინა. დევნილთა შემწეობის ოდენობა 28 ლარიდან 45 ლარამდე იზრდება. სოციალური დახმარება იმ დევნილებს მოეხსნებათ, რომელთა დასაბეგრი შემოსავალი 1250 ლარი ან მეტია. პირის შემოსავლის ოდენობა მისი ოჯახის წევრის შემწეობაზე გავლენას არ მოახდენს. დარახველიძის ინფორმაციით, შემწეობა, დაახლოებით, 6-7 ათას დევნილს გაუუქმდება.

დავით დარახველიძემ ფინანსთა სამინისტრო გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ პროექტზე მომუშავე ჯგუფის ყველა მონაწილეს სურდა, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ დევნილებს, დევნილის შემწეობასთან ერთად, სოციალური დახმარებაც მიეღოთ. **„ეს სწორი ნაბიჯი იქნებოდა, რადგან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი სოციალურად დაუცველი თავის მშობლიურ ადგილზე სხვა პირობებშია, ვიდრე საცხოვრებელი ადგილიდან მოწყვეტილი სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი დევნილი. ამას 26 მილიონი ლარის გამოყოფა სჭირდებოდა, მაგრამ ფინანსთა სამინისტრომ ეს ინიციატივა უკან დაგვიბრუნა,“** - სინანულით აღნიშნა დარახველიძემ.

დარახველიძემ კანონპროექტში შესულ შესწორებებზეც გაამახვილა ყურადღება. მოქმედი კანონმდებლობით, ახალშობილს დევნილის სტატუსის მიღება იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი დევნილის სტატუსი ერთ-ერთ მშობელს მაინც აქვს. კანონპროექტის პირველი ვერსიის თანახმად, სტატუსის მიღებას ის ახალშობილები შეძლებდნენ, რომლებსაც ორივე მშობელი დევნილი ეყოლებოდათ. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციების უარყოფითი შეფასებების შემდეგ სამინისტრომ პროექტში კვლავ ძველი ნორმის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

დავით დარახველიძის თქმით, ახალი კანონპროექტი ტერმინ „დევნილის“ განმარტებასაც ითვალისწინებს. **„დღემდე დევნილად მიიჩნევა ოკუპირებული ტერიტორიიდან გადაადგილებული პირი. ახალი კანონპროექტის თანახმად კი, დევნილის სტატუსის მიღებას მასობრივი ძალადობის ყველა მსხვერპლი შეძლებს,“** - თქვა დარახველიძემ.

მინისტრი იმ სავარაუდო დარღვევებსა და სამართლებრივ გადაცდომებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც ახალი რეგისტაციის შედეგად ვლინდება.

„სხვაობა უკვე გვაქვს - 30 ათასი. რეგისტარაციის პროცესი თბილისში დასასრულებელია, სხვაგან ყველგან დასრულდა. ნაკადმა იკლო და აქტიურმა ფაზამ ჩაიარა. 90 000-მდე დევნილს რეგისტრაცია ჯერ არ გაუვლია. არსებობს ალბათობა, რომ სხვაობა გაიზრდება. 40 ათასამდე დევნილის მოწმობა შეიძლება, არასამართლიანად გაცემული აღმოჩნდეს. ამ გზით 4 მილიონ ლარამდე „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზეა დალექილი, თუმცა გაურკვეველი ვითარებაა და თანხა უკან არ ბრუნდება. ამასთან, რეგისტრაციამ აჩვენა, რომ 500-ზე მეტი პირი, ვისაც ყველა დოკუმენტი წესრიგში აქვს, ელემენტარულ კითხვებს ვერ პასუხობს - თუ სად სწავლობდა, მეზობელი ვინ ჰყავდა. გამოდის, რომ ისინი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მუდმივად არ ცხოვრობდნენ. 160 პირის პირადი საქმე პროკურატურას გადაეცა,“ - ამბობს დარახველიძე.

საკუთარი ინფორმაცია

პროექტი „იზრუნე მომავალზე“ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე ზრუნვას აგრძელებს

კომპანია „ნატახტარი“ აგრძელებს მზრუნველობამოკლებულ მოზარდებზე მიმართულ პროექტს „იზრუნე მომავალზე“, რომელიც ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველოს“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევითხორციელდება.

როგორც ცნობილია, კომპანია „ნატახტარმა“ 2011 წლის ნოემბერში დააფუძნა „ფონდი ნატახტარი“ და დაიწყო პროექტის განხორციელება. 3 თვის განმავლობაში ნატახტარის ლიმონათის თითოეული გაყიდული ბოთლიდან ფონდში ირიცხება 1, 3 და 5 თეთრი.

ფონდის მიზანია საქართველოში არსებული ობოლ და მზრუნველობამოკლებულ აღსაზრდელებზე ზრუნვა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ხელშეწყობა, მოზარდებისთვის საჭირო სერვისების შეთავაზება და სახელმწიფო მომსახურების გასვლის შემდეგ გარკვეული სამუშაო უნარების მიცემა.

საქართველოში არსებული მცირე საოჯახო სახლებისა და დიდ ინსტუციებში არსებული ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების 150 აღსაზრდელზე განხორციელდა სპეციალური მომსახურება და დახმარება.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა მზრუნველობა მოკლებული მოზარდების ბაზა. ფსიქოლოგების მუშაობის შედეგად გამოიკვეთა 15-18 წლის 216 მოზარდი, რომლებზეც გადანაწილდა ფონდის თანხის უდიდესი ნაწილი. ფსიქოლოგების დახმატებით თითოეული მოზარდისთვის განისაზღვრა ის მიმართულებები, რომელიც მისთვის იყო საინტერესო.

თავდაპირველად, პროექტი 16-18 წლის მოზარდებზე იყო გათვლილი, 2013 წლიდან კი 15 წლის მოზარდებიც ჩაერთვნენ. ბავშვების რაოდენობასთან ერთად გაფართოვდა ფსიქოლოგების გუნდის შემადგენლობაც, რამაც პროექტის ხელმძღვანელებს მისცა იმის საშუალება, რომ ბენეფიციარებს ხარისხიანი მომსახურეობა მიეღოთ. სადღეისოდ, 224 მოზარდს საქართველოს მასშტაბით 10 ფსიქოლოგი ემსახურება.

სასტურმო „რედისონში“ კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი, ასოციაცია „ჩვენი სახლი - საქართველოს“ დირექტორი ლელა მერაბიშვილი და ფსიქოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი მანანა ომარაშვილი ჟურნალისტებს შეხვდნენ, სადაც პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში გააცვნეს. ამასთან, საზოგადოებას თანხის შეგროვების მესამე ეტაპის დაწყება ამცნეს.

თორნიკე ნიკოლაიშვილი:

- 25 ნოემბრიდან 25 თებერვლამდე იქყება „ფონდი ნატახტარის“ მესამე ეტაპი. სიახლე მხოლოდ ის არის, რომ მონაწილეობას უკვე ქილის ლიმონათიც მიიღებს. აქედან გამომდინარე, ველოდებით უპრეცენდეტოდ დიდი თანხის შემოსვლას. საცნობი ნიშანი იგივე რჩება - თავსახურზე ამოტვიფრულია ფონდის ლოგო.

ამის გარდა, ფონდის პრინციპია გამჭვირვალობა და მისი საზოგადოებისთვის გაცნობა.

ლელა მერაბიშვილი:

- წლევანდელი წელი რომ შევაფასოთ, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში ჩვენ მართლაც მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ. სურათი უფრო თვალსაჩინო რომ იყოს, მხოლოდ რაოდენობრივ შედეგებზე შევჩერდებით. სხვადასხვა სასკოლო საგნებში მომზადება 34-მა აღსაზრდელმა გაიარა. კოლეჯებში პროფესიული უნარების დაუფლება კი 52-მა მოზარდმა შეძლო. მნიშვნელოვანი იყო სტაჟირების მიმართულებითაც გააქტიურება, რომელიც 6-მა აღსაზრდელმა გაიარა, ამასთან - დასაქმების პერსპექტივით. სპორტულ სექციებში ჩართვა 5 ბავშვს დავუფინანსეთ, ხოლო მართვის მოწმობის აღება 8 აღსაზრდელს. 15 ბავშვისთვის პროფესიული უნარების განსამტკიცებლად შევიძინეთ სასწავლო წიგნები და სამუშაო იარაღები. ხოლო მოზარდები, რომლებიც გავიდნენ მცირე საოჯახო საქმიდან და არ გააჩნიათ თანადგომის ქსელი, პროექტის ფარგლებში იღებენ შემდეგ მომსახურებას: ბინის ქირა, კვება, ტრანსპორტირება, ხელობის შესწავლა. სადღეისოდ, ასეთი 6 მოზარდია.

2013 წლის საუნივერსიტეტო გამოცდები წარმატებით გაიარა 3-მა მოზარდმა და სტუდენტი გახდა. მათ სახელმწიფო უფინანსებს სწავლის გადასახადს, ხოლო სხვაობის შემთხვევაში ფონდი აფინანებს საფასურს. თანხას ამჟამად ერთ სტუდენტს ვუმატებთ.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ყველა აქტივობა ხორციელდება მიზნობრივად და ეტაპობრივად. თითოეული აღსაზრდელის ინტერესი და ინიციატივა ჩვენი დასაყრდენი და ამოსავალი წერტილია. შემოსული თანხის 10 პროცენტი მიდის ადმინისტრაციულ სამსახურზე, დარჩენილი თანხა კი ფსიქოლოგიურ და მოზარდების მომსახურებაზე.

მანანა ომარაშვილი:

- ფონდში თანხა შეზღუდულია და თუ რა მიმართულებით წავა, ამას საკოორდინაციო საბჭო განიხილავს. ძრითადი მიმართულებებია: პროფორიენტაცია, პროფკონსულტირება, პრევენცია, ინტერვენცია, საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობა და დროისა და ფინანსების განაწილების სწავლება.

თუ 2012 წელს დაიხურა 10 ქეისი, 2013 წელს მისმა რიცხვმა 26 შეადგინა. აქედან 15 დასაქმდა, ზოგი მიმღებ ოჯახში მივიდა, ზოგიც ბოილოგიურ მშობლებს დაუბრუნდა, რამდენიმე გათხოვდა.

გვაქვს 6 წარუმატებელი ქეისიც. აქედან 5-ის ბედი უცნობია, ერთზე კი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ფონდი ამ შემთხვევას აკვირდება და საჭიროების შემთხვევაში ჩავერთვებით.

წარმატებული კუთხით კი 13 მუშაობს, სტუდენტი კი 5 მოზარდია, რომელთაგან სამმა უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა. მათთვის კომპანია „ნატახტარი“ მხარდამჭერი ორგანიზაცია და დიდი იმედია.

ძიუდოისტებმა ცუკუბას უნივერსიტეტში ექსტერნად „ჩააბარეს"

პირველი გვერდიდან

ხმამაღლა საუბრის გარდა, მუსიკაც ხმამაღლა ჰქონდათ ჩართული. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის რიგით მოქალაქეებსაც მიუმართავთ - ველოსიპედით მოძრაობის წესებს არღვევდნენო.

ერთი სიტყვით, ისე იქცეოდნენ, როგორც აქ ბევრი ჩვენგანი შეიძლება იქცეოდეს და ამაში, შესაძლოა, საგანგაშო არაფერი დაგვენახა, მაგრამ, როდესაც ქვეყნიდან... პირდაპირ ვთქვათ, გაძევებენ, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმაზე ცუდად იქცეოდნენ, ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვიხმაურეთ, ველოსიპედით დავარღვიეთ მოძრაობის წესები, მაგრამ არის კიდევ ერთი და ამ ერთს ცეცხლმაქრ ბალონთან (!) მივყავართ. ირკვევა, რომ ნაკრების ერთ-ერთ ტიტულოვან წევრს უნივერსიტეტის სასტუმროში თუ საერთო საცხოვრებელში უნებლიეთ ცეცხლმაქრი ბალონი აუმოქმედებია. გია გუგავას თქმით, ეს ბალონები დერეფანში სრულიად დაუცველად იდო, რომელიც ერთ-ერთ ძიუდოისტს გადაუადგილებია, ამ დროს ბალონი ამოქმედებულა და...

მასპინძლებსაც ბევრი არ უფიქრიათ და საქართველოს ნაკრებებისთვის კარისკენ მიუთითებიათ. გუგავას თქმით, მწვრთნელებმა არაფერი იცოდნენ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის ასეთი მკაცრი განაწესის შესახებ.

მომხდარს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი გამოეხმაურა: „ახალგაზრდა ძიუდოისტებმა დისციპლინა დაარღვიეს. ჩვენ თავიდანვე მივიღეთ ზომები და იაპონიაში საქართველოს საელჩოსთან ერთად ჩავერთეთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია იმსჯელებს ფაქტის შესახებ, ფედერაციის აღმასკომი და სადისციპლინო კომიტეტი განიხილავს და დაადგენს დეტალებს, თუ კონკრეტულად რა მოხდა ტოკიოში. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღება ფედერაციის მხრიდან."

ბუნებრივია, მომხდართან დაკავშირებით საქართველოს ძიუდოს ფედერაციაც მუშაობს. ფედერაციის პრეზიდენტის, დავით ქევხიშვილის თქმით, შეიქმნა კომისია, რომელიც საქმეში გაერკვევა, მომხდარს გამოიკვლევს და, სავარაუდოდ, მომავალი კვირის დასაწყისში გადაწყვეტილებას მიიღებს.

გამოძიებამდე კი იაპონიაში ქართული დელეგაციის ხელმძღვანელის, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის, მამუკა ყიზილაშვილის „მსოფლიო სპორტთან" ინტერვიუს ფრაგმენტი მოვიშველიოთ: „საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო წლებში იაპონიაში არაერთხელ გაიარა მოსამზადებელი შეკრება, მაგრამ ამ სახის პრობლემა ერთხელაც არ ჰქონია. ახალგაზრდები და ჭაბუკები კი ამ ქვეყანაში პირველად ჩავიყვანეთ და ეს ყველაფერი ჩვენთვისაც აბსოლუტურად უცნობი იყო. გუნდის წევრები გაოცებულები იყვნენ, არაფერი დაგვიშავებიაო...

შემოგვთავაზეს, სხვაგან გადაგიყვანთო. კოდოკანის უნივერსიტეტი შემოგვთავაზეს, რაც ნიშნავდა, რომ ადგილობრივ ნაკრებებთან ერთად ვარჯიშზე უარი უნდა გვეთქვა. მარტო ვარჯიშს შეკრების ორი დღით ადრე დასრულება და თბილისში დაბრუნება ვამჯობინეთ. დღეს კი შევიტყვეთ, რომ ასეთივე პრობლემა იაპონიაში შეკრებაზე მყოფ საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებსაც შეჰქმნია.

საქართველოში ნაადრევად დაბრუნების გამო ახალგაზრდული ნაკრების ლიდერებმა ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ.) და გურამ თუშიშვილმა (100 კგ.), რომლებიც თავიანთი შეკრების დასრულების შემდეგ ტოკიოში მყოფ ეროვნულ ნაკრებს უნდა შეერთებოდნენ, ხელახლა ვიზის აღება ვერ შეძლეს და უფროსებთან შეკრების გარეშე დარჩნენ.

საქმე ის არის, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები (უფროსთა) ტოკიოშია, სადაც ძიგორო კანოს ტრადიციულ მემორიალში ასპარეზობს, რომლის დასრულების მერე ერთობლივ სანაკრებო წვრთნებში ჩაერთვება. მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ იაპონიაში ნაკრების ყველა მთავარი კანდიდატი წაიყვანა. გაფართოებულ სიას კი ახალგაზრდული ნაკრების წევრები ბექა ღვინიაშვილი და გურამ თუშიშვილი უნდა დამატებოდნენ.

გაბრიჩიძე, ბათუმი და პერსპექტივა

ზურა თალაკვაძე

მიხეილ გაბრიჩიძის საპრეზიდენტო პროგრამის სამდღიანი ეტიუდი ბათუმში დასრულდა. სამ დღეში პრეზიდენტობის კანდიდატმა დიდი ინფორმაცია მიიღო. სათანადო დასკვნების გაკეთებას გარკვეული დრო უნდა. ძირითადად, ყველა პოზიტიურად იყო განწყობილი. საკალათბურთო წრეებში გაბრიჩიძე კალათბურთის ენაზე საუბრობს. ინვესტიციების, სპონსორებისა და სხვა აუცილებელი ბონუსების თემა აქტუალურია, მაგრამ ეს თემა პარალელურად უნდა წამოვიდეს. ორივე თემა დაიძრა. „ჰიუნდაი" (კომპანია, რომელშიც გაბრიჩიძე მმართველი დირექტორია) კალათბურთს დიდ ყურადღებას აქცევს და „ჰიუნდაის" სკოლაში ბევრი ნიჭიერი ბავშვია. ასაკობრივი პროგრესი დაიწყო და გლობალური პროგრესი უფრო მასშტაბური, ბევრის მომცველი თემაა. ბევრი ნიუანსი გამოსწორდება. უნდა გამოსწორდეს. რაღაცები უკვე კეთდება და ეს იქნება ახალი პროცესის შემადგენელი ნაწილი, იმ პროცესისა, რომელიც კალათბურთის ფედერაციის მოქმედმა ხელმძღვანელობამ დაიწყო. რაღაცის გაფუჭება უფრო ძნელია, ვიდრე გაკეთება. გაბრიჩიძის გუნდი კონსტრუქციულად აზროვნებს. დესტრუქციულად სხვები აზროვნებენ და თუ ისინიც სწორად გაიგებენ და მიიღებენ ყველაფერს, ქართული კალათბურთი ერთ ფლეშს გაშლის.



მიხეილ გაბრიჩიძე ბათუმში

ბათუმის შეხვედრა „შერატონში" გაიმართა. ელეგანტური სასტუმროს ელეგანტურ ჰოლში. კედლებიდან კურტ კობეინი, ბობ დილანი, მიკ ჯაგერი, ბრიუს სპრინგსტინი, მადონა, ჯიმი პეიჯი და რობერტ პლანტი, დეპეშები და სხვა მუსიკალური ლეგენდები გიყურებენ და გგონია, რომ რომელიმე მუსიკალურ კომპანიაში მოხვდი, რომელიმე ოთახიდან კომპანიის ბოსი გამოვა, ჯონი ქეშის რეპროდუქციაზე დაგიწყებს საუბარს და პეპერსების რიმეიქის გაკეთებას შემოგთავაზებს. მუსიკაში ბევრი თემა და უამრავი მიმდინარეობაა. ბევრია სასაუბრო ქართულ კალათბურთზეც. საქართველოს ნაკრები სხვა თემაა და ამ მხრივ პრობლემები არ არის, ყველაფერი ნორმალურად მიდის. სხვა სფეროებში პატარა კენჭებია მოსაშორებელი და გზა ისევ თანაბარი, იოლი, მშვიდი იქნება. ამ გზას მიხეილ გაბრიჩიძემ (ან პრეზიდენტობის რომელიმე სხვა კანდიდატმა) უნდა მიხედოს. აჭარაში კალათბურთი პოპულარულია. აჭარაში იგებდნენ ჩემპიონატებს მანუჩარ მარკოიშვილი, ვატო ნაცვლიშვილი და გიორგი ცინცაძე. აჭარაში მერაბ ემირიძემ კალათბურთისთვის ბევრი გააკეთა და ის „ბასკო" ლამაზი, მოქნილი, დახვეწილი კლუბი იყო. დახვეწილი კლუბი დახვეწილი ფრენჩაიზით და ინფრასტრუქტურით. ეს საკითხები დღევანდელ სუპერლიგაში ბევრს მოსაწესრიგებელი აქვს და ეს გასათვალისწინებელია.

ბათუმში კალათბურთზე ჩასვლა ყოველთვის სასიამოვნო იყო. დღესაც საინტერესოა. იქ არის პოპულარული მწვრთნელი მიხეილ კობეშავიძე და წელს კლუბს მეტი კარგი მოთამაშის დამატების საშუალება აქვს. გაუმჯობესებული ფინანსური მდგომარეობა კლუბს სიმშვიდეს და პერსპექტივას აძლევს. „ბათუმი" საპრიზო ადგილებისთვის ისაუბრებს. „ბათუმში" კარგი ლეგიონერები არიან. ადრე სხვა დონის ლეგიონერები იყვნენ და ამ კონტინგენტსაც ბევრი პლუსი აქვს. კობეშავიძეს ამ შემადგენლობით ბევრი თამაშის მოგება შეუძლია. ალბათ, უნდა მოიგოს. თან, მიშას ჯანმრთელობის უმნიშვნელო პრობლემები აქვს. არაჩვეულებრივ პიროვნებას, ჩვენს მეგობარს გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. უკეთ უნდა გახდეს აჭარის, ბათუმისა და ბევრი მონდომებული, კალათბურთზე შეყვარებული ბავშვის კალათბურთიც. ის, რაც ჩვენთვის ყველაზე ახლოა და ის, რისთვისაც მიხეილ გაბრიჩიძე იბრძვის. „შერატონში" შეხვედრა საინტერესო იყო. ბოლოს შეხვედრის მონაწილეთა კომენტარებსაც გადახედეთ.

მიხეილ გაბრიჩიძე: „აჭარაში კალათბურთი ვითარდება, ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ბავშვი შედის საკალათბურთო სექციაში და მჯერა, რომ კალათბურთით დაინტერესებული ბავშვების რაოდენობა გაიზრდება. ბათუმში საინტერესო, ინფორმაციულად დატვირთული შეხვედრა გვქონდა. რაღაცები არის გამოსასწორებელი, რაღაცებზე შევთანხმდით. მჯერა, რომ საერთო ძალით ბევრ პრობლემას მოვაგვარებთ. ბათუმში კარგი კლუბია, რომელიც წელს ლეგიონერებით გაძლიერდა და აქვს ამბიციები. გულშემატკივრები მიდიან კარგი გუნდის სანახავად და ეს არა მხოლოდ ამ კლუბის, მთლიანად რეგიონისა და საქართველოში კალათბურთის პოპულარიზაციას ზრდის. გაქვს შედეგი? გულშემატკივარი მეტ ნდობას გიცხადებს. მინდა ყველამ იცოდეს - ბათუმში, აჭარაში, კალათბურთის განვითარებისთვის მაქსიმუმს გავაკეთებთ. საკალათბურთო თემა ამოუწურავია. ხელს შევუწყობთ რეგიონს, ბათუმს, პოტენციალის რეალიზებაში. მჯერა, რომ შედეგიც სათანადო იქნება. გამოსასწორებელს გამოვასწორებთ და ამ რთულ, დამღლელ პროცესს ბოლომდე მივიყვანთ. მიხარია, რომ ადგილობრივ ნაკრებებთან ერთად ვარჯიშზე უარი უნდა გვეთქვა. მარტო ვარჯიშს შეკრების ორი დღით ადრე დასრულება და თბილისში დაბრუნება ვამჯობინეთ. დღეს კი შევიტყვეთ, რომ ასეთივე პრობლემა იაპონიაში შეკრებაზე მყოფ საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებსაც შეჰქმნია.

საქართველოში ნაადრევად დაბრუნების გამო ახალგაზრდული ნაკრების ლიდერებმა ბექა ღვინიაშვილმა (90 კგ.) და გურამ თუშიშვილმა (100 კგ.), რომლებიც თავიანთი შეკრების დასრულების შემდეგ ტოკიოში მყოფ ეროვნულ ნაკრებს უნდა შეერთებოდნენ, ხელახლა ვიზის აღება ვერ შეძლეს და უფროსებთან შეკრების გარეშე დარჩნენ.

საქმე ის არის, რომ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები (უფროსთა) ტოკიოშია, სადაც ძიგორო კანოს ტრადიციულ მემორიალში ასპარეზობს, რომლის დასრულების მერე ერთობლივ სანაკრებო წვრთნებში ჩაერთვება. მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ იაპონიაში ნაკრების ყველა მთავარი კანდიდატი წაიყვანა. გაფართოებულ სიას კი ახალგაზრდული ნაკრების წევრები ბექა ღვინიაშვილი და გურამ თუშიშვილი უნდა დამატებოდნენ.

გოდერძი კორძაძე (აჭარის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): „პრობლემები არის, მაგრამ თუ ერთმანეთს მოვუსმენთ და გავუგებთ, ყველაფერი კარგად იქნება. ბათუმში, აჭარაში, კალათბურთზე სულ უფრო მეტი ბავშვი შედის. ყველა ვერ გახდება პროფესიონალი კალათბურთელი, ყველას ეს არ აინტერესებს და ეს ნორმალურია. უბრალოდ, ვინც ბოლომდე დარჩება და თავის შესაძლებლობებს გამოიყენებს, მისთვის ეს გზა კარგად დასრულდება. ბავშვი ეტაპობრივად უნდა ვითარდებოდეს. არ არის საჭირო ფორსირებული ვარჯიში და ამას მწვრთნელებმა უნდა მიხედონ. ვიღაცას გამძლეობის პრობლემა აქვს? დაასვენე, ამოასუნთქე ბავშვი და ცოტა ხანში ის ყველაფერს უკეთ გააკეთებს. მომწონს გაბრიჩიძის პროგრამა. ჩემი აზრით, ერთობლივი ძალით ბევრის გაკეთება შეიძლება. ცუდი არ იქნება, თუ ბათუმში საერთაშორისო დონის კემპი ჩატარდება და ამაზე უკვე შევთანხმდით. აქ კალათბურთის განვითარებისთვის მაქსიმუმს ვაკეთებთ და, სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, ყველაფერი კარგად დასრულდება. სხვა კანდიდატთა გეგმებს ჯერ არ ვიცნობ, გაბრიჩიძის გეგმა კი დახვეწილი, საინტერესო და ამომწურავია".

აჭარის შეხვედრით დასრულდა სამდღიანი ტური. მიხეილ გაბრიჩიძს გუნდი აიღებს პატარა წუთშესვენებას და დაიწყება ახალი შეხვედრების ციკლი. ეს ყველაფერი ქართული კალათბურთისთვის კეთდება. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ფედერაციის პრეზიდენტი. მნიშვნელოვანია მისი პრიორიტეტები, რაც არა ბოღმასა და შურს, ღიმილსა და პერსპექტივას უნდა აჩენდეს. ასე ყველასთვის უკეთესი იქნება.

ტაილანდის მთავრობა საპროტესტო გამოსვლებს ვერ აცხრობს

ივა შილაკაძე

ტაილანდში ერთი კვირაა, მასობრივი საპროტესტო გამოსვლები გრძელდება. ქუჩაში გამოსული ხალხი მთავრობისა და პრემიერ მინისტრ იინგლაკ ჩინავატის გადადგომას მოითხოვს. მათ ქვეყნის მართვის დროს კორუფციული სქემების გამოყენებაში სდებენ ბრალს. ამას გარდა, ხალხის ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავრობა დამოუკიდებელი არ არის და განდევნილი ექს-პრემიერ ტაქსინ ჩინავატის მიერ იმართება, რომელიც მოქმედი პრემიერის უფროსი ძმაა.

პრემიერ-მინისტრმა ქალბატონმა იინგლაკ ჩინავატმა ოპოზიციას მოლაპარაკებების გამართვა შესთავაზა, მაგრამ ეს უკანასკნელები ამაზე ჯერჯერობით მაინც არ მიდიან. საპროტესტო ტალღის აგორების საბაბი გახდა ამნისტიის შესახებ მთავრობის მიერ ინიცირებული კანონი, რომელიც ტაქსინ ჩინავატს საშუალებას მისცემდა, ქვეყანაში და ტაილანდის პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ ორწლიანი პატიმრობის მოხდის გარეშე დაბრუნებულიყო, რომელიც მას დაუსწრებლად მიუსაჯეს. ამის შესახებ წინა დღეებში უკვე წერდა „24 საათი“.

აღნიშნული კანონპროექტი ნოემბრის დასაწყისში სენატში ჩავარდა, მაგრამ ოპოზიციის ქუჩაში გამოსვლის საბაბად მაინც იკმარა. საპროტესტო გამოსვლები, ძირითადად, მშვიდობიან ხასიათს ატარებს, მანიფესტანტების ზოგადი განწყობაც თითქოს აგრესიის გამოვლინებისკენ არ არის მიმართული, თუმცა ხალხის მასები წინა კვირიდან მოყოლებული ცდილობენ, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მუშაობას ალყისა და შენობებში შევარდნის გზით ხელი შეუშალონ. წინა სტატიებში უკვე ვწერდით, რომ გასულ კვირას და ორშაბათს დემონსტრანტებმა ჯერ ფინანსთა სამინისტრო დაიკავეს, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტრო და მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. შემდეგ კიდევ რამდენიმე სამინისტროს შემოარტყეს ალყა და ჩინოვნიკებს მოსთხოვეს, „კორუმპირებული მთავრობისთვის“ მუშაობა შეენყვიტათ. ხელისუფლებას რამდენიმე სამინისტროს თანამშრომელთა სასწრაფო ევაკუაციაც დასჭირდა, რადგან დემონსტრანტები შენობების ელექტრომომარაგების შეწყვეტით იმუქრებოდნენ.

გუშინწინ დემონსტრანტებმა დედაქალაქში პოლიციის მთავარ შენობას დენის კაბელი გადაუჭრეს. გუშინ რამდენიმე ათასი ადამიანი თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი შენობის - კერძოდ, სახმელეთო ჯარების შტაბის ეზოში შევარდა. მათ თვით შენობაში შესვლა არ უცდიათ და ეს ალბათ არც ისე ადვილი იქნებოდა. ხალხმა მოითხოვა სახმელეთო ჯარების სარდალთან შეხვედრა და იმის გარკვევა, თუ ვის მხარეს არის არმია. მათთან შტაბის წარმომადგენელი გამოვიდა და პეტიცია ჩაიბარა. სარდლობის მაგივრად მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ არმია პოლიტიკურ პროცესებში არ ჩაერევა და ხალხის წინააღმდეგ ძალას არ გამოიყენებს, რომელი პარტიის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი. ეს პოზიცია სამხედროებმა აქამდეც ოფიციალურად დააფიქსირეს.

მთავრობამ სამშაბათს დედაქალაქ ბანგკოკში და მის მიმდებარე კიდევ ორ ოლქში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. ეს პოლიციას უფლებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში გზები გადაკეტოს და კომენდანტის საათი გამოაცხადოს. თუმცა, ხელისუფლება დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალას არ იყენებს და აცხადებს, რომ ამას არც მომავალში აპირებს.

საპროტესტო აქციებს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, „დემოკრატიული პარტიის“ წევრი სუტხეპ ტხეუკსუბანი ხელმძღვანელობს, რომელმაც სამი კვირის წინ უარი თქვა პარლამენტის დეპუტატის მანდატსა და პარტიის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე, რათა მთლიანად საპროტესტო გამოსვლების ორგანიზებაში ყოფილიყო ჩართული. მასთან ერთად, პარტია და პარლამენტი კიდევ შვიდმა დეპუტატმა დატოვა. სუტხეპ ტხეუკსუბანის დაპატიმრების ორდერი ჯერ კიდევ ორშაბათს გაიცა, თუმცა ჯერჯერობით პოლიციას მისი დაკავების მცდელობა არ ჰქონია. პარასკევს აქციებს ამ პარტიის კიდევ ერთი ლიდერი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი აბხისტ ვეტჩაჩივა შეუერთდა. მან განაცხადა, რომ მზად არის, სათავეში ჩაუდგეს გამოსვლებს, თუ ხელისუფლება ოპოზიციის მოქმედ ლიდერს სუტხეპ ტხეუკსუბანს დააპატიმრებს.

ორი დღის წინ პარლამენტში ოპოზიციურმა „დემოკრატიულმა პარტიამ“ მთავრობის ნდობის საკითხი დააყენა, თუმცა კაბინეტმა ნდობის ვოტუმი უპრობლემოდ მიიღო. იინგლაკ ჩინავატის პარტია „პჰია ტჰაი“ („ტაილანდისთვის“) პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობას ფლობს. სწორედ პარლამენტში ნდობის ვოტუმით ზურგგამაგრებულმა პრემიერმა მეორე დღეს ტელევიზიით მიმართა ხალხს და ოპოზიციას დიალოგი შესთავაზა. მაგრამ გუშინ ოპოზიციამ მოლაპარაკებების დაწყებაზე უარი თქვა. პრემიერი და მთავრობა მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დაპირისპირება და ამ ტიპის არეულობა ქვეყნის ეკონომიკისთვის საზიანოა და ამიტომ არ სურთ დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენება, როგორც ეს წინა მთავრობამ გააკეთა.

ტაილანდში პოლიტიკური არასტაბილურობა პერმანენტულად, მცირეოდენი შესვენებებით 2006 წლიდან გრძელდება. მაშინ სამხედროებმა გადატრიალება მოაწყვეს, მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ტაკსინ ჩინავატი დაამხეს და კონსტიტუცია გადაწერეს. თუმცა 2007 წელს არჩევნები პარტია „სახალხო ძალამ“ მოიგო, რომელიც გადაყენებულ პრემიერს უჭერდა მხარს. ტაკსინ ჩინავატის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობდა და მას კორუფციაში სდებდენ ბრალს. 2008 წლის აგვისტოში, პროცესის დამთავრებამდე ექს-პრემიერმა ქვეყანა დატოვა და დღეს გაერთიანებულ არაბულ საამიროებში ცხოვრობს. მას დაუსწრებლად მიუსაჯეს ორი წელი ციხე. 2008 წლის აგვისტოში სახალხო გამოსვლები დაიწყო. საკონსტიტუციო სასამართლომ პარტია „სახალხო ძალა“ აკრძალა და ხელისუფლებაში მოვიდა მთავრობა აბხისტ ვეტჩაჩივას ხელმძღვანელობით.

2010 წელს ხალხი ისევ გამოვიდა ქუჩაში. თითქმის ორი თვის განმავლობაში ჩინავატის მომხრეებს, ფაქტობრივად, მთლიანად ჰქონდათ დაკავებული დედაქალაქის ქუჩები. მაშინდელმა მთავრობამ აქციები ძალით ჩაახშო. ამას, დაახლოებით, 90 კაცის სიცოცხლე შეეწირა. შემდეგ რამდენიმე თვის განმავლობში საგანგებო მდგომარეობა მოქმედებდა და სიტუაცია ჩაწყნარდა. თუმცა 2011 წელს პარტიამ „პჰია ტჰაიმ“, რომელსაც ტაქსინ ჩინავატის უმცროსი და იინგლაკ ჩინავატი ჩაუდგა სათავეში, საპარლამენტო არჩევნებში მნიშვნელოვანი უპირატესობით გაიმარჯვა და, ოთხ სხვა პარტიასთან ერთად, მმართველი კოალიცია შექმნა. მანამდე იინგლაკ ჩინავატი პოლიტიკოსი, ფაქტობრივად, არ ყოფილა და კერძო ბიზნესით იყო დაკავებული.

ძნელია იმის დაჯერება, რომ ტაქსინ ჩინავატს მართლა არ აქვს გავლენა უმცროს დაზე, რომელიც პოლიტიკაში ჯერ ახალბედაა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის სიმწირე იმის კატეგორიულად თქმის საშუალებას არ იძლევა, თუ სინამდვილეში რამდენად დამნაშავეა ტაქსინ ჩინავატი, თუმცა ბოლო წელინადში მისი მომხრე პარტიების მიერ არჩევნების მოგება იმაზე მეტყველებს, რომ ხალხის უმრავლესობას ან არ სჯერა ამ ბრალდებების, ან ისინი უმნიშვნელოდ მიაჩნია. კრიზისიდან გამოსასვლელად იინგლაკ ჩინავატს და მის პარტიას მოუწევს ხალხისთვის იმის დემონსტრირება, რომ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია. ამას მისივე კაბინეტის წევრები, იგივე განათლების მინისტრი ჩატურონ ჩაისეგი აცხადებს.